


პროცესი
202-01033



ნოემბერი 1910 წ.

I სურათი:	546
II თამარი და დედოფალა ლექსი, გ. რუხაძის	547
III დედობრივი გრძნობა ორანგ—უტანგში	549
IV ქურციკი და სხვარი თარგმანი იტალი	551
V პატარა თომა ლექსი ნ. ზომბეტაძის	553
VI ნუშას დედოფალა ამბავი ილიაშვილის სიხარულის	555
VII ილიოსი მოთხრობა ლევ ტოლსტოისა. თარგ- მანი ზ. ფ.	559
VIII წვრილმანი: მხენელ მთესველის მეგობრები და რე- ბუსი	566
—————	
IX დედის ვედრება ლექსი დ. თურდოსანიძის	567
X უბედური შემთხვევა ამბავი პ. გუგუისი	570
XI ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი ა. ფ.	578
XII კავკასიის ტყვე (შემდეგი იქნება) დ. ტოდსტოისა თარგმანი გრ. ვეფხვიძის	582
XIII ისაგრო (ხამელენი) დ. ჭიჭინაძის	590
XIV შესანიშნავი ქვეყანა. მოგზაორობა ჩრდილოეთ ამერიკაში—ბრინჯის მოყვანა. (შემდეგი)	596
XV სხვა და სხვა ამბები	600
XVI საქართველოს ისტორია შედგენილი ს. გარეჯაძის. დასასრული პირველი ნაწილისა	65

ჯუჯილის სეფის მომწერლებს დაურიკდებათ საჩუქრად

უცხო თაიგული

დასურათებული საქმეწილო წიგნი შედგენილი პეტრე მი-
რიანაშვილის მიერ.



საქართველო ნახატებიანი
უშრნალი

იხარდე მწვანე ჯეჯილო,
დაკურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

ნოემბერი 1910

◆ წელიწადი მეოცდარეოთე ◆

თ ბ ი ლ ი ს ი
ელექტრომბეჭდავი ამბ. „შრომა“, მუხრანის ქ. № 12.
1910



ქართული ენის
სახელმწიფო ბიბლიოთეკა



თაძრეკო და დედოფალა.

თამრიკო და დედოფალა.

ვუძღვნი ჩემ შვილს



თახში დასტის თამრიკო
 ძაგ-თვალა, სუჭუჭიანი,
 სელთ დედოფალა უპურიბ
 ჭრელ-კაბა — ქუჩუჩიანი.

როცა დააწვეენს თვალთ სუჭავს,
 აყენებს — აღებს ისევა,
 თამროს ცოცხალი ჰკონია
 და გულში იკრავს, ეხვევა.

ხან „კაკანაში“ ჩააწვეენს,
 ნანას უძღერის ტკბილათა,
 ხან, ვითომ ტანსბანს, ტაშტში სვამს
 და სელსა უსვამს ფრთხილათა;

ხან ათამაშებს, ასტუნებს
 და ხან კი ძუძუს აწოვეებს..
 ერთ წამს ვერავის მიანდობს,
 ერთ წუთს არავის ათხრევეებს.

მაგრამ უეცრათ ცქრიალას,
 სელთ უვარდება, იმსხვრევა
 და გულდაძწვარით თამრიკო
 ძღუღარე ცრემლათ იფრქევევა.

ძას ზაწია მძა მანს უგებს:

დედობრივი გრძნობა.

ორანგ-უტანგისა.



ონადირეებმა სძირ ტუეში თვალი მოჭ-
კრეს დედა ორანგ-უტანგს, რომელსაც
გულსე მიეკრა თავისი შვილი და ისე
მიდიოდა. ესენი მაშინვე გამოუდგენ მას. ორანგ-უტანგი
ავარდა სესე და თავისი შვილი ტვირთითერთი სიდან
მეორესე გაჭირებით სტებოდა, რომ თავი შეეფარე-
ბინა მოშორებულ ატყისილ ტუეში და ამითი აცვი-
ლებინა მდეგრები.

მონადირეებმა დაუძინეს თოფები და ერთმა ტუვი-
ამ სასიკვდილოთ დასჭრა საბრალთ დედა. ორანგ-
უტანგმა მოიკრიფა უკანასკნელი ძალა, რომ შვილი
ძინც გადაერჩინა; სისხლი ჭრილობიდან კოკის ზირად
გადმოსდიოდა, მაგრამ მოახერხა და შვილი მორს
ძალა სესე შეაგდო. მერე თითონაც გადავიდა იმ
ძალა სესე და დაუწყო შვილს ერთი სიდან მეორესე
შეგდება, თან თითონაც მისდევდა, სანამ სულ სძირ
და გაცალკეებულ ტუეში არ შევიდა. სისხლი კი ჭრი-
ლობიდან შეუწვეპტლივ სდიოდა. როცა დეამ ნახა
რომ შვილს საფრთხო აღარა მოეღის რა, ჩამოჯდა



ერთი ძაღალი სის წვერზე, ერთი კიდეკ ცაღანდათა
ვის შვილს და უსულოთ ჩამოვარდა სიდან.

მონადირეებს თვალები ცრემლებით ავესოთ ამის-
თანა ადამიანური გრძნობის ნახვით და დიდხანს ას-
სოვდათ საბრალო დედა-მამიუნის სიკვდილი. ტეუი-
ლათ კი არ უძახიან ორანგ-უტანგს „ტეის კაცს“.

(თარგმანი)



ქურციკი და ცხვარი.



რთხელ მონადირე გამოუდგა ქურციკს. ასოვანი, მარდი ცხოველი ისარივით გარბოდა, მაგრამ მონადირესაც მშვენიერი ცხენი ჰქაავდა და მასთან საუსოსოვო შეძებრები.

ერთი შეძებარი ძაღლი ზირუტევეს დაეწია და სწვდა კბილებით ფეხში. ქურციკისთვის ეს წაში საშინელი იყო: მან

ერთი ღონივრათ გაიქნია ნაკბენი ფეხი, მოჰკვლა ძაღლი და სიკვდილს თავი დააღწია. მაგრამ ფეხი კი სამუდამოთ გაუფუჭდა—დაკოჭლდა ქურციკი და მას აქეთ სულ უღონოთ იყო.

ერთხელ ქურციკი დასუსტებული, ავანთყოფი იწვა ბაღასზე და მწარეთ უჩიოდა თავის ბედს, მას აგონდებოდა ბედნიერი წარსული, როცა ის მსიარულათ დაჰქროდა მინდორ—ველებზე. მაშინ მისი მეტოქე თავისუფალ ქროლადში მსოლოთ ქარი იყო.

ამ დროს მას მიუახლოვდა ერთი კოჭლი ცხვარი და დაუწყო ნუკემის ცემა.



— ნუ დარდობ, უთხრა ცხვარმა, — სედავ, მკაცრად და დაგვარე ცალი ფეხი, მაგრამ სასოწარკვეთილებას არ მიუყვდი თავი და იძუდს არ ვკარგავ, რომ ოდესმე ისევ ბედნიერი ვიქნები.

— რას აკეთებდი შენ, როცა ვეკლა ფეხები სადი გქონდა? ჰკითხა ქურციკმა.

— ვერ გავცე, რას შეკითხები!

— მე იმას გკითხები — რას აკეთებდი წინეთ, ფეხი რომ გქონდა? ჩემსავით და ჰქროლავდი მინდორ-ველზე? ან სწრაფლ ძდინარეებზე განტეობდი? ან გაჰქროდი სრამ — უფსკრულზე ერთი თვალის დასამ-სამებანზე? ცელქური სტუნვით სომ არ ემალებოდი მტერს? განა გქონდა ელვასავით სწრაფი და გრი-გალივით თავისუფალი ფეხის სიძარდე?

— არა, მიუგო ცხვარმა, — მე წუნარი ცხოველი ვარ და მძვირათ ვატარებდი ჩემ დროს, მხარ თემო-სედ ვარჩევდი ცვრიან ბლახს და ხარბათ ვუნო-სავდი მინდვრის საამურ ჰაერს.

— სომ სედავ, ჩემო კარგო, მიუგო ქურციკმა, შენ მხოლოთ ფეხი და ჰკარგე, მე კი ფეხთან ვეკლა-ფერი.

(თარგმანი)

•••••



ჰატარა თომა.



ვი რამ იყო
 ჰატარა თომა,
 უეუარდა ბოსტნებ
 ბაღებში ძრომა,
 კიტრი და ნესვი,
 თხილი და მსხალი
 გამოიტაცა
 მან დიდი ძალი,
 ბოლოს კი ეელზე
 დაადგა ძვალი.
 ნახეს სსვის ბაღში
 და დაიჭირეს,
 ძალზედა სცემეს,
 ბევრი ატირეს...
 მაგრამ ძაინც არ
 მორჯულდა თომა
 და არ შესწვევითა
 ბოსტნებში ძრომა,
 ასე ეგონა
 ამ ანცს და სულელს
 ბოსტნებში ძაინც
 არ ახლებდენ ხელს,

ნუშას დედოფალა.



(უძღვნი ჩემს ძვირფას ნუციკოს)

აბავშო ოთახის კარი ღია იყო. ნუ-
 ლი ნიაჟი წუნარტო არსევდა და ათა-
 მაშებდა ფანჯრის ლეჩქის ფარდებს.
 გარშემო სიჩუმე და მოწუენილობა
 იყო. ჰატარბ წნულ — სავარძელში
 იჯდა ლოჟა წითელა ჰირდაკაწნული
 დედოფალა. დედოფალას ახლო ჰატა-

რს სკამსედმავ თვალ-წარბა ლამაზი ნუშა მოსჯდომოდა.

ნუშას ეცვა მშვენიერი
 ჰირის ფერი კაბა დი-
 დი საუელოთი. იგი
 ლოჟაზედ მიჰკროდა თა-
 ვის დედოფალას და ისე
 ელანარბებოდა ძიძას,
 რომელიც იქვე ფან-
 ჯარასთან ჰქსოვდა წინ-



დას. მაგრამ ნუშა უფრო სძირად თავის დედოფალას
 ესაუბრებოდა და ეუბნებოდა სხვა და სხვა ზღაპრებს.
 ეს ზღაპრები იყო ნათქვამი მშვენიერ ხელმწიფის ქა-



ლიბელებზე, რომელნიც ღრუბლებში და მსგავსებულ
 ვებში არიან გახვეულნი. იმ საცარს სახელმწიფოზედ,
 სადაც ეველანი ბედნიერი არიან და სადაც ეველა
 ზატარა ბავშვს ჰქვავს დიდი დედოფალა და კეთილი ძიძა.

— აბა, მესლანბრეკ, კიდევ დაიწუე შენებურად?!
 გაუწერა ძიძა. ნეტავი მაცოდინა საიდან იგონებენ ამ-
 დენ ზღანბრებს, ისე ლანბრეკობ, თითქოს წივიდან
 ამოვიკითხნიაო.

მაგრამ ბავშვს არ ესმოდა ძიძის წერომა. მას
 ცოცხლათ ჰქონდა წარმოდგენილი თვალწინ ის, რა-
 საც უამბობდა თავის დედოფალას.

ნუშას ძალიან უყვარდა ასე ჯდომა სავარძელთან
 ახლოს და ზღანბრების მოყოლა. სძირად ასეც დაუ-
 მინია ნუშას მომღიძარი ზირისახით. მაშინ ნუშაც
 ისეთივე უსიცოცხლო მოჩანდა, როგორც მისი დე-
 დოფალა, რომელსაც გაეფარნხა სელაფსი და ილი-
 მებოდა თავის დაღებულ ზირით.

სხვა დედოფლები ნუშას არა ჰქვავდა და არც
 ნდომობდა. ნუშას დედა, დეიდა და ძმა დიდხანის
 აზირებდენ ნუშასთვის „კატას“ გამოართმევას და ახა-
 ლი დედოფალის უიღვას, მაგრამ ნუშა არა თანხმე-
 ბოდა. ის ზირველად ამაზე ძლიერ შეყოყმანდა კიდევ.
 რომელი უნდა ამოერჩია: თუ ახალ დედოფალას მიი-
 ღებდა, მაშინ უნდა დაშორებოდა თავის საყვარელ „კა-
 ტას“. თუ ამას არ მოიძორებდა, მაშინ ახალ დედო-
 ფალას ვერ მიიღებდა.

მშობლებს ახალი დედოფალს უიღვა მიტომ უფრო უნდოდათ, რომ ნუშას დამტკრეული „კატია“ სრულად აღარ ვარგოდა.

დედამ აასრულა დანაპირი და ნუშას უყიდა ახალი მშვენიერი დედოფალა. ეს დედოფალა ძვირფასი და ძეკათ ლამაზი იყო: მორთული აბრეშუმის კაბით, მშვენიერი შლახით და კოხტა ფეხსაცმელებით.

ნუშას ძლიერ მოეწონა ახალი დედოფალა და თითქმის დაუნანებლათ გადასცა მიძას თავის საყვარელი „კატია“, მისი შვილი შვილისთვის.

მთელი დღე არ მოშორებია ნუშა თავის ახალ დედოფალს. მან თავის ამხანაგებიც კი მოიწვია და აჩვენა თავისი ახალი დედოფალა „ნადია“.

მთელი დღე სიმხიარულეში ვაატარა ნუშამ, მაგრამ როცა დაღამდა, დაჯდა ჩვეულებრივ ადგილზე და მოუუვა თავის ახალ დედოფალს ზღაპრებს განცვიფრებულმა ნუშამ შეაძინა, რომ დედოფალს დაესუჭია თავისი დიდი ჭრელი თვალები და გულიანად სძინავს. დედოფალს ეტეობოდა არ უნდოდა ეური ეგდო თავის ჰატარა ქალბატონისათვის. ნუშამ შეანძრია დედოფალა.

დედოფალამ ერთ წამს აასილა თვალები და ისევე დასუჭა.

ნუშამ ერთი გულიანად ამოიოხრა და შემდეგ წაიუვანა საწოლთან დასაძინებლათ, დიდ ხანს იდგა ის თავჩაკიდული მშვიდად მძინარე „ნადიასთან“ და

სრულიად უგულოდ უეუბებდა იმის ლაძას
 ახლა იმას თვალწინ უდგა თავისი «კატია» დაკაწრული
 სახით და მომდიმარი ზირით.

შუალამისას მიძას გამოეღვიძა ბავშვის მწარე
 ქვითინსე. მას ჩაეეო თავი საბანში და ცდილობდა
 მისი ტირილი არავის გაეგონა.

დილით ნუშამ მოითხოვა „კატია“ უკანვე და
 მიძას შეაძლია მის მაგიერ „ნადია“.

ახლა საბავშო ოთახში სცხოვრობს ბედნიერი
 მიძამ ვერ გაბედა ამისთანა მვირფასი დედოფა-
 ლას გამორთმევა და მისი შვილი — შვილი კი არ
 იძლეოდა სასე დაკაწრულ „კატიას.“ ატედა ერთი
 აურსაურე, ტირალი და მოთქმა.

ნუშას მართალია დღეიდან ორი დედოფანა
 ჰყვონდა, მაგრამ სამაგიეროთ მიძის შვილი-შვილი
 ვახდა ნუშას მუდმივი სტუმარი.

ახლა საბავშო ოთახში ცხოვრობს ბედნიერი ოჯა-
 ხი: ნუშა, მიძის შვილი-შვილი „ნადია“ და „კატია“.

ფელიმონ სიჩაძე.



ილიოსი.

(ლევ ტოლსტოისა)



უის ძაწრამი ცსოვრობდა ერთი ბაშკირი ილიოსი. ძამის სიკუდილის შემდეგ ილიოსი ღარბათ ღარჩა. ძამამ ცოლი შერთო ძას და იუითონ წლის თავსე მოკკდა.

ილიოსს ღარჩა სსცსოვრებლათ მსოლოთ შვიდი ცსენი, ორი ძროხა და ორი ცსვარი. ძაგრამ ილიოსი გამრჯე კაცი იყო, იცოდა ფულის უადრი, დილდან სლამომდე ისიც და ძისი ცოლიც მუშაობდენ თავაულებლივ, ეველასე ადრე დგებოდენ, ეველასე გვიან წვებოდენ. ეოველ წლის თავსე სედავდენ რომ ქონება ეძატებათ. ასე გაატარა ილიოსმა ოცდასუთმეტი წელიწადი და აუარებელი ქონება შეიძინა. ასლა ილიოსს ჰეზავდა ორასი ცსენი, ას ორმოცდა ათს თავი საქონელი და ათას ოთხასი ცსვარი. მოჯამაგირეები შვეემსავდენ საქონელს, დედაკაცები წველიდენ ძროხებს და ცსვრებს, აკეთებდენ კარაქს, ეველს, კუმის*) ოჯახში სწორეთ ღვთის ჟვალი ტრიალებდა. ეველასს შურდა ილიოსის სიმდიდრე და აშობდენ:

*) კუმისი არის ცხენის რძისაგან გაკეთებული სასმელი, მეტათ მარგებელია ავანეყოფებისათვის.



ილიოს ეველბუერი აქვს, სიკვდილს მაგასთან უნდა, ბედნიერი კაცია, ნაცნობები ბლომათ გაუხნდენ ილიოს—სულ რჩეული ხალხი. სტუმრები შორიდან მოდიოდენ მასთან. ეველას უძანინძღებოდა, ასმევდა, აჭმევდა. ვინც უნდა მოსულიყო — ეველას რძეს, კარაქს და კუძისს მიართმევდა. ჩაი, ტკბილი სასმელები, ცხვრის მწვადები — მათთვის მზათ იყო. სტუმრები როგორც კი გამოჩნდებოდენ მამინათვე ერთ ან ორ ცხვარს დააკვლევინებდა და თუ ბევრი მოვიდოდენ ცხენსაც არ დახოვავდა — დაუკლავდა. ილიოს ჭეავდა ორი ვაჟი და ერთი ქალი. ვაჟებს ცოლები შერთო, ქალი გაათხოვა. როდესაც ილიოსი ღარბათ იყო, ვაჟები მასთან ერთად მუშაობდენ, ჯოგებს უკვებდენ უურს, როდესაც გამდიდრდა ილიოსი, შვილებმა მუშაობაზე ხელი აიღეს, ერთმა სმაც დაიწყო. უფროსი ჩხუბის დროს მოჰკვლეს, უმცროსს შვილს შეხვდა გოროზი ცოლი და შვილი მას აღარას უგონებდა, ილიოსი იძულებული იყო შვილი ვარეთ გამოეკდო.

მამამ შვილს უწილადა სახლი, ჯოგები. ილიოსი ახლა ისეთი მდიდარი აღარ იყო, როგორც წინეთ. თანაც მის ჯოგს რაღაც ავადმყოფობა შესვდა და ბევრი ცხვარი გაუწევიტა. მერმე ცუდი მოსავალი იყო, თივა არ მოვიდა, სიმშვილით ბევრი საქონელი დაესოცა. მერმე კიდევ მესობლებმა სათიბები წაართვეს. ილიოსს ახლა ქონება ისეთი აღარა ჰქონდა, როგორც



ნი, რადგანაც ამათ კარგათ იცოდენ ოჯახს^{ქვეყნის} და მუეათად მუშაობდენ: მუსამედ შახს ეცოდებოდა ესენი: ერთ ღროს — რა მდიდრები იუვენ და ახლა რა მდგომარეობაში ჩავარდენო. ერთხელ მასთან მივიდენ სტუმრათ მძახლები, მოვიდა მოლლაც. მუსამედ შახმა უბრძანა ილიოს დაეკლა ცხვარი. ილიოსმა დაკლა ცხვარი, მოხარმა და გაუგზავნა სტუმრებს. შეჭამეს სტუმრებმა სორცი, დალიეს ჩაი, და ბოლოს კუძისს დაუწვეეს სმა. სხედან ეურთუკის ბალიშებზე, სვამენ სასმელს და ბანახობენ. ილიოსმა გაათავა თავისი საქმე და გაიარა კარებთან. მუსამედმა დაინახა იგი და უთხრა სტუმრებს: ნახეთ ეს კაცი კარებთან რო გაიარა? „უნახე — უნახესა ერთმა სტუმართაგანმა, „მერე რა“? — რა და ეს კაცი ოდესმე აქ ვუკლანხე მდიდარი იყო. ილიოსი ერქვა, ეკებ ვაგაკონოთ? „როგორ არა, უთხრეს სტუმრებმა, ნახვით არ გვინახავს. ვაგონებით კი, მისი სახელი შორს არის გაგარდნილი“. — აი ახლა მას აღარასიყური აღარა აქვს, ჩემთან მუშაობს. ცოლიც აქ არის, ცხენების მწველეულათ მუავს“.

ვაუკვირდით სტუმრებს, გაიქნიეს თავი და ამბობდენ: „ძართალია, სულ ბედის საქმეა. ბორბალივით ტრიალებს ჩვენი ცხოვრება. სოკს აამაღლებს, სოკს სულ ძირს ჩამოიყვანს. უსათუოდ დარდობს მოხუცი, არა“? დაამთავრა ერთმა სტუმართაგანმა. „ვინ იცინს?, თავისთვის არის, წინარად და კარვად მუშაობს“.

ამაზე ერთმა სტუმარმა უნასუნა:

— შეიძლება დაველანაწარკო, გამოვკითხო ამბავი?

„რატომაც არა, უნასუნა მასწინძელმა და დაუძახსა „ილიოს, მოდი ერთი აქ, გადაჭკარ ჩვენთან სასძელი. ცოლიც მოიყვანე“.


შემოვიდენ ილიოსი და მისი ცოლი.

ილიოსი მიესალმა სუვეელას, თქვა ლოცვა და კარებთან ჩამოჯდა; ცოლი კი გავიდა ფარდის იქით, მუსაძედ მხნის ცოლთან. ილიოს მთავრად ჯამი სასძელით. ილიოსმა თავი დაუკრა სტუმრებს, მოსვა ცოტა და დადგა ჯამი.

„რა ამბავია, ბაბუა, უეჭველად ჩვენ რომ გვიეურობ გული გიღონდება. სომ არ გაგონდება შენი უწინდელი ცხოვრება? ილიოსმა ჩაიცინა და თქვა: — რასაც გეტყვი: — ბედნიერი ვარ თუ უბედური — სულ ერთია არ დამიჯერებ, სჯობია ჩემ ცოლს ჰკითხოთ: დედაკაცს რაც გულში აქვს — ის ენაზე ადგია. ის მართალს გეტყვით.

სტუმარმა დაუძახა მის ცოლს და ჰკითხა: „ერთი გვითხარ, მოსუცო, რას ფიქრობ შენ უწინდელ ბედნიერებაზე და დღევანდელ უბედურებაზე“. ამასვე შამ შეძგომ თქვა.

„აი რას გეტყვით: მე და ილიოსი ვცხოვრობდით ორმოცდა ათი წელიწადი და ბედნიერებას ვეძებდით და ვერ ვპოვეთ. ახლა მეორე წელიწადია, რაც აღარაფერი არ გაგვანჩნია, ჩვენ მუშათა ვართ აქ, და



მსოფლიო ახლა ვპოვეთ ჩვენ ნამდვილი ბედნიერება — და სხვას ჩვენ არაფერს არ დავუძებთ.

გაუკვირდათ სტუმრებს, გაუკვირდა მასწავლებელს, ის წამოდგა. ფეხზე, რომ დაეხასა კარგათ შამშუმაკი. დედაც იღებ გულ-ხელ დაკრეფილი, უცინოდა — უუურებდა თავის მოსუც ქმარს — ისიც იცინოდა. დედაც კაცმა განაგრძო: — მართლს გეტყვით, არა ვსუმრობ, ნახევარი საუკუნე ბედნიერებას ვემბდით. სანამ მდიდრები ვიყავით ვერ ვნახეთ ბედნიერება. ახლა არაფერი გვაბადია: ქონება დაკარგეთ — მაგრამ ისეთი ბედნიერება ვპოვეთ, რომ უკეთესი არ შეიძლება. „რამა ახლა თქვენი ბედნიერება?“ — აი რაში: ვიყავით ჩვენ მდიდრები — ერთი წუთი მოვსენება არ გვქონდა: არც ლაპარაკს გვაცლიდენ, ვერც სულზე ვფიქრობდით და ლოცვა არ შეგვეძლო. რამდენი საფიქრებელი გვქონდა — აი სტუმრები გვეწვია — ვფიქრობდით: რა მივართვათ, რა ვახქვით, რომ არ დაგვძრასონ. სტუმრები რომ წავიდოდენ, ვფიქრობდით — მოჯამაგირეებს ეურის გდება უნდათო, ისინი ცდილობდენ რომ კარგათ ეჭამათ-ესვათ, და ცოტა ემუშავნათ, ჩვენ კი ვუუურებდით, რომ არა დაგვკარგოდა რა, გვეძინოდა ძველმა კვიცი არ შეგვიჭამოს, ან ცხვარი, ან ხბო, ან ქურდებმა ნახირო არ გადენონ. დაწვებოდი — სად იყო ძილი? გვეძინოდა დედა ცხვრებმა კრავები არ დააღწიოს! ხდები — დადისარ ღამე. ცოტას მოისვენებ, მერე კიდევ საფიქრებელია — საქონელს

ზამთრისთვის საჭმელი უნდა დაუმზადო. ამას გარდა შე
 და ჩემქმარს შორის არასოდეს თანხმობა არ იყო.
 ის იტყვის: ასე უნდა გავაკეთოთ, მე ვამბობ— არა ასეო
 — დავიწყებთ ლანძღვას— აი კიდევ ცოდვა. ამ რიგათ
 ყვესოვრობდით— სულ დარდი, სულ ნაღველი და ცოდ-
 ვა. სად იყო ნამდვილი ბედნიერი ცხოვრება.

— ახლა?

— ახლა ავღვებით დილით მე და ჩემი მოხუცი,
 ძმვიდათ და სიუვარულით ვბანობთ, სადავო არა გვაქვს
 რა, სადავო აღარაფერია, — ერთი ჩვენი დარდია,
 რომ ჩვენ სახლის ბატონს ვემსახურეთ. ვმუშაობთ
 რაც შეგვიძლია, ვმუშაობთ სიუვარულით, რომ ჩვენ
 ბატონს მოგება ვანახოთ. მოვალთ სახლში, დავკვ-
 დება სადღღ-ვანძაში, კუძისი. სიცვივში — ცეცხლს და-
 ვანთებთ — თბილი ტანისამოსი გვაქვს. ლაპარაკისთვის
 საც საკმაო დროა, სულზე საფიქრებლათაც, სალოცავა-
 თაც ორმოც და ათი წელიწადი ბედნიერებას ვქმედით
 და მარტო ესლა ვზოვეთ.

გაეცინათ სტუმრებს.

ილიოსმა თქვა: — ნუ იცინით, ძმებო, სუმრობა კი
 არაა ადამიანის სიცოცხლე. უწინ მე და ჩემი ცო-
 ლიც სულელები ვიყავით, ვტიროდით სიმდიდრე რო
 დავებრკეთ, ესლა კი უფალმა თვალები აგვიხილა და
 ჩვენც თქვენ გუებნებით სასაცილოდ, კი არა, არამედ
 თქვენს სიკეთის მკურველები ვართ.

მოლლამ ამაზე დაუმატა: ჭკვიან სიტყვას ამბობს
 ილიოსი და ძართალსაც. ასეა ღვთისაგანაც ნაბანები.
 სტუმრები აღარ იცინოდნენ, ისინი ჩაფიქრდნენ.



მხუნელ-მთესველის მეგობრები.

ველჯან საფრანგეთის გზებზე ბოძებია, რომელ-
 სედაც პატარა ფიცრებია მიკრული და ზედ აწერია
 შექმნილი: ზღარბი იკვებება თაგვებით, ლოკოკი-
 ნებით, ჭიებით და სხვა მხუნელ-მთესველის მტრებით.
 არ დასოცოთ ზღარბი!

თხუნელა იკვებება მხუნელ-მთესველის მტერი ჭიე-
 ბით. მის კუჭში არასოდეს არ უძოვნიათ მცენარის
 სასარგებლო საჭმელი. არ დასოცოთ თხუნელა!

ბაუჯი საათში ოცდა ათამდის მატლებს, კოლოებს
 და ბუხებს ასაღებს. არ დასოცოთ ბაუჯი!

მხუნელ-მთესველის თაუი და თაუი მტერი ჭია და
 მატლებია — ისე არაზინ გასწუვეტავს მათ, როგორც
 ფრინველი. ბავშვებო! ხელი არ ახლოთ მათ კვერც-
 ხებს და ბარტყებს!

(თარგმანი).

პატარა მოწაფე გ. ლეონიძე.

რ ე გ უ ს ი .



მ





ღედის ვედრება.



ართოდ გადაშლილ ველზედა
ძილს მისცემია სოფელი,
მიჯრით მიწყობილ სახლებსა
ჰფარავს წყვდიადი შავ-ბნელი.

ფრთებ მომართული გრივალნი
დაჰქროლავს მთა და ბარადა
და ელდა ნაცემ სოფელსა
დაჰლმუის შესაზარადა.

ხან რამ ქობს ამოიჩემებს
განძვინებულად მოჰბერავს
და შიგ უმწეო მცხოვრებსა
შეაშფოთებს და შესზარავს.

აი სოფლისა ბოლოში
გვერდზე წამოხრილ ქობშია
ღედის ქვითინი ერევა

ქარის ვაი და ოხშია.

ღედა ტანჯვისგან დამდნარი
ქმრისაგან დანატოვები
სიფრთხილით არწევს აკვანსა
თან ცრემლის დგება ფონები.

მწუხარებითა დამღერის:
„ნანა, შეილიკო, ნანაო,
მშობლისა გასახარელად
იზარდე თანდითანაო.“

ნუ დაღონდები რომ მამა
სიკვდილმა წაიტანაო,
რა ვლყოთ ქვეყნად ბევრია
ობოლი შენისთანაო

შენა ხარ ჩემი ნუგეში,
შენ გამიხარებ გულსაო,
უსაზღვროდ განაწამებსა
მომმადლებ სიხარულსაო.

მაშ ჯერ იძინე ტკბილათა
ადრე ნუ იკრთობ ძილსაო,
ყურს ნუ მიუგდებ გრიგალის
საზარ მწარ მოძახილსაო

დრო მოვა, ქარი ჩადგება,
სევდაც გაჰყვება თანაო;
დავაეკაცდები ნეტარი
გვეწვევა დრო და ხანაო.

ჯერ კი იმედის სხივთ კონაც,
იძინე, ნანი ნანაო,
შენ ბუდარაში ცრემლებმა
ღაწვები ჩამომბანაო.

ამ დროს შმაგ ქარმა საზარლად
დაჰკივლა — დაიღრიალა,
ნამჯა მოჰხადა ობლის ქოხს
ჰაერში შეატრიალა.

მძლავრ ცივი ფრთებით შეიქრა
შესამუსრავად ობლისა, —
შეკრთა, შეძრწუნდა, შესწუხდა
მგრძნობელი გული მშობლისა.

სწრაფად მოჰხვია ხელი ბავშვს,
მაგრად ჩაიკრა უბეში,
მოშხამულ ცხოვრებაშია
ის ერფად ერთი ნუგეში.

შეჰვედა: მძლეთა მძლე ქარო!
ქირს ნუ მიმატებ ჭირზეო,

დასცხრი, დამშვიდდი, გეთაყვა
ნამქერს ნუ მაყრი პირზეო.

ერთი შვილი მყავს ნუგეშად
ა? უკუმეთურ ბნელადო
და ისიც ქვეყნისათვისა
მსურს გმირად აღსაზრდელათო.

დ. თურდოსპირელი



უბედური შემთხვევა.

შავი ზღვა.



ღვა ბობოქრობდა. მისი მრისხანე ტალღები გამალეებით ასკდებოდენ ნაპირებს, თითქო ზნდოდათ სრულიათ დაეპყროთ ხმელეთი, სრულიათ გაენადგურებიათ იგი. არც ხმელეთსა! და არც ცას არ მოსწონდათ ზღვის ამგვარი თავხედობა. ცა მოკუპრული იცქირებოდა, ქვეყანაც პირქუშობდა. ოდნავათ ბუუტავი მზის უკანასკნელი სხივები მკრთალათ გაჰკროდენ ქვეყნის გულ-მკერდს, ესალმებოდენ მას. ზღვის მკერდზე მოქანავე გემები ნავთსადგურისაკენ მიეშურებოდენ.

— წავიდეთ, დათიკო, ვნახოთ ზღვა! ..

— ღელავს, არა?

— ღელავს,

— ბევრი მიღის სანახავათ; გესმის რა ხმაურობაა!

ზღვის ქალაქის განაპირა ქუჩაზე, ზღვიდან ასე 150 საყენის მანძილზე დაშორებით, იღვა ორი ბავშვი ილიკო 10 წლისა, დათიკო კი ცოტათი უფროსი.

— მაშ, ვთხოვ ღელას!

— მეც ვეტყვი, დაუმატა დათიკომ, —

— გაკვეთილები?

— ვიცი... საწერი დამრჩა, მაგრამ დავბრუნდები და დავწერ, ცოტაა! ..

ილიკო და დათიკო ერთი მეორეს დაშორდენ.



— დედიკო, ზღვისკენ გავივლი, ზღვა დელავს, კარგად ხანა-
ხანია, მალე დავბრუნდები!.. დათიკოც მოდის, ერთათ გავი-
ვლით!... თხოვდა ილიკო თავის დედას, ივლიტეს...

— შვილო, ილიკო, ცუდი არაფერი შეგემთხვეს, შვი-
ლო, ნუ მიხვალ, რა საჭიროა, გაკვეთილები ისწავლო, უკე-
თესია!

— ვიცი, დედა, გაკვეთილები, ვიცი!

ცოტა ხნის შემდეგ დათანახმდა ივლიტე... დედის გუ-
ლი შვილების სასიყვარულო აკვანია, სიყვარულის დაუშრე-
ტელი წყაროა მარად ანკარა, მარად ძლიერი. კარგა ხანია
მისი ქმარი—მეეტლე გარდაიცვალა და ერთათ ერთი შვილი
ილიკო ძუძუზე დარჩა დედის ამარა. დედა მრეცხაობით ირ-
ჩენდა თავს, არჩენდა და ზრდიდა თავის შვილს. რვა წლის
ილიკო დედამ ქალაქის პირველ დაწყებითი სკოლაში მიიბა-
რა, იქიდან გიმნაზიაში გადაიყვანა. კარგათ სწავლობდა ილი-
კო და სწავლის ფულიდან გაანთავისუფლეს ის, ამიტომაც
ივლიტე კარგ გუნემაზე იყო დღეს. ის იმედი, რომ ილიკო
სწავლის ფულის მიზეზით არ დაბრკოლდებოდა სწავლაში
აღფრთოვანებდა ივლიტეს და მის იმედებს საოცნებო ფრთები
ესხმებოდა, გულის სიღრმეში სიამე ისადგურებდა, რადგან ილი-
კო შესანიშნავ მოსწავლეთ ითვლებოდა სკოლაში.

— შენი შვილი სამაგალითო ბავშია, კარგათაც სწავ-
ლობს! უთხრა მას ილიკოს მასწავლებელმა

„ჩემი იმედი, ჩემი ნუგეში, ჩემი ვარსკვლავი“ წარმოსთქვა
ივლიტემ და ილიკო გულში მაგრათ ჩაიკრა...

— წადი, შვილო, ცუდი არაფერი შეგემთხვეს, შენი
ქირიმე...

ცნობის მოყვარე ილიკო სახლიდან სიხარულით გარეთ
გამოხტა.

— ილიკო, აქეთ, აქეთ, დაუწყო მას დათიკომ ხელის
ქნევა და ძახილი ქუჩის მეორე ნაპირიდან, გვარიან მანძი-
ლიდან მოშორებით.

— მოვდივარ, გაისმა პასუხათ ილიკოს მხიარული ხმა.

რა იცოდა!

ზღვა უფრო და უფრო უმატებს ხმას. ღელვა ძლიერდება. მზე სრულიათ მიმალულია ღრუბლებში. ცა არ იცინის, ქალაქი ბ-ი ჯერ კიდევ ნათლათ და ამაყათ გამოიყურება, თითქოს ეუბნებოდეს ზღვას. „იღელვე, რამდენიც გინდოდეს, მე შენ ვერას დამაკლებ, მე მარად აქ დარაჯათ ვდგევარ, რათა ყოველ შენს მოქმედებას, შენს ავ-კარგს თვალყური ვადევნო, და საჭირო დროს კიდევ შეგებრძოლო, შევაჩერო შენი შფოთავი დაუდგრომელი ტალღებიო!“. ელექტრონის სანათურები ჯერ კიდევ არ ბრჭყვიალებდა ქალაქის ქუჩებზე.

— პა, პა, პა, გაისმის აგერ ზღვის ნაპირზე მდგომ ხალხის ხმა.

გამხეცებული ზღვის ზვირთები ერთი მეორეს მწყობრათ მოსდევენ; მშფოთავი და აგორებული ტალღები ერთი მეორეს საშიშრათ ეჯახებ-ან, ხან მალლა ფაფარ აყრილ ღომსავით აღიმართებიან ხოლმე, ხან დაბლა დაეშვებიან, თითქო ეჯიბრებიან, რომ ერთმა მეორეს გაუსწროს და მალე ჩაყლაპოს ყოველი ის, რაც მათ გზაზე შეხვდებათ— გადაელობება. აგერ ზღვის ნაპირზე გადამცდარი ტალღები გამალებით ხმელეთზე მისკურავენ, ხალხი უკან იწევა. ზოგისათვის ტალღას მიუსწრია და მუხლებ დაბლა. სრულიათ დასველებული გამორბის.. ტალღები კვლავ უკან ბრუნდებიან ზღვაში და ამ გვარათ ხალხის სიცილ-კისკასს და ტალღების ტლაშანს დასასრული არა აქვს.


— გავიქცეთ, დათიკო, გავიქცეთ, ბიკო, თორემ ღელვა მოგვისწრებს.

— ნუ გეშინია, შორსაა!..

— უ უ უჰ, უ უ უჰ!.. ღრიალებს ზღვა.

— ტლააშ, ტლააშ!.. მძლავრათ დაეჯახა აგერ პირველი ტალღა, ნაპირს გადაცდა, ილიკო და დათიკოც გარბიან, მაგრამ მშრალათ არც ერთი არ დარჩენილა.

— ხა, ხა, ხა, ხა, გადიკასკასა ილიკომ, რომელიც თუმცა სველი იყო, მაგრამ იმდენათ არა, როგორც დათიკო, ის



გამოქცევის დროს, როცა ზღვა ტალღებს თავისკენ მიირეკავდა და წაფორთხალდა, პირდაპირ მიწაზე გაიშლართა და ქმის სრულიათ დასველდა. მაგრამ იქვე დაინახა დათიკომ წყლით სავსე გუბე, მარჯვეთ წამოვარდა და დასვრილი ხელები ამოიბანა.

ილიკო იცინის, მაგრამ რა იცის, რომ ზღვის გაუმძღვარ ტალღებმა არ იციან ხუმრობა, არც შებრალება, ისინი არავის დაზოგავენ, ვისაც კი საკბილოთ ჩაივლებენ ხელში. რა იცის ილიკომ რა დღე მოელის მის დედას!

— დათიკო, წავიდეთ, წავიდეთ, შინისკენ წავიდეთ!

— გამშორდი, შენ უფრო სიცილის ხასიათზე ხარ?

— მერე რა— თქვა ილიკომ და დათიკოს ზურგზე ხელი გადასდო; ორივემ ერთი შეორეს შეხედეს დასველებულ ფეხებში და სიცილი წასკდათ.

ტალღამ მოიტაცა!

ავორებულ ზღვის ტალღების ცქერით დაკმაყოფილებული ხალხი ის იყო იშლებოდა თავიანთ ბინებზე წასასვლელათ როცა ერთმა თვალი მოჰკრა შორიდან მომავალ გემს.

— გემი, გემი, წამოიძახა იმან და ყველამ ზღვის სივრცეს შიაპყრო თვალი.

— მოალწევს აქამდე?

— არა მგონია!..

— მოალწევს, არც ისე საშიში ღელვია!

ყველა ლაპარაკში გაერთო, ყველა გემისკენ იცქირებოდა. გემის საკვამლებიდან ამომავალი კვამლი ზღვის შორ სივრცეში ნათლეთ ღრუბლებათ იფანტებოდა, გემი კვლავ მოჩანდა, გემი ჯერ არ დაღუპულიყო, თუმცა მისი გადარჩენის იმედი არავის ჰქონდა და გულ მღუღარეთ იგონებდნენ მოსალოდნელ უბედურებას.

— რა ამბავია, რად შეჩერდნენ, წამოიძახა ილიკომ და ხალხისკენ შებრუნდა.

— წავიდეთ, შინ წავიდეთ, ბიჭო, უთხრა დათიკომ ილიკოს, რომელიც ცქერათ გადაიქცა და სულ არ ფიქრობდა მიეხედნა დათიკოსკენ.



— მივიდეთ ახლოს, მივიდეთ, შევიტყოთ, რა ამბობდა ცნობის მოყვარე ილიკო.

ილიკომ ბევრი ხეყნა-მუდარის შემდეგ დაითანახმა დათიკო და ორივენი ხალხს შეუერთდნენ.

— გემი, გემი დათიკო შეხედე, აი იქ შორს, შორს რომ მოჩანს, საბრალო ხალხი, რომ დაიღუბოს, რომ დაიხრჩოს!..

— შეშინებულები იქნებიან განა?.

— ჩვენ რომ იქ ვისხდეთ, დათიკო, რა იქნებოდა, აჰ!

— არა ჩვენ იქ ვისხდეთ და დედა აქ იდგეს. ზღვის ნაპირას მითხარი, როგორ გუნებაზედ იქნებოდა, აჰ!

— ძლიერ შეშინდებოდა, დედა!..

— გემიც რომ დაიღუბოს და დედაც უყურებდეს ამას?

— უუუჰ უუუჰ! ზღვამ ილიკოს მაგივრათ პასუხი გასცა დათიკოს.

— ტლაააშ, ტლააშ! მას ბანი მისცეს ალვირ ახსნილმა ტალღებმა...

გემი თან და თან ახლოვდებოდა, მისი ბედ-იღბალი წყდებოდა, სულ ცოტა დრო კიდევ და გემი ნავთსადგურში ამოჰყოფს თავს. უბედურება აცდენილი იქნება, ხალხი სულგანაბული სდგას, ვეებერთელა გემს ზღვის მკაცრი ზვირთები ხან მალლა აისვრიან ხოლმე და ხან დაბლა ტალღებს მისცემენ, ვით მსუბუქ ნაფოტს, ხალხის ჩოჩქოლს დასასრული არ აქვს...

— დაიღუბა, დაიმსხვრა!..

— არა, არა, აი კიდევ გამოჩნდა და ამ გვარ ლაპარაკში გართულ ხალხს ავიწყდებოდა, რომ იმ დროს მისს ახლოც ბობოქრობს ზღვა; იქ თუ გემს ეომებიან ზვირთები, აქ ზღვის ნაპირებს ხარბათ ასკდებიან ტალღები და ლამის ქვეყანაც გაანადგურონ! ..

გემის ცქერით გატაცებულს ილიკოს ტალღების სიახლოვე სრულიათ ავიწყდებოდა. ორჯერ თუ სამჯერ კიდევ მისწვდა მას გამოქანებული ტალღა, გვარიანათ ძლიერ მიეტლაშუნა მისს წსუბუქ ფეხებს, მაგრამ ის მაინც გემისკენ

იცივებოდა, და ტალღის შეთამაშებას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. ყმაწვილს დიდხანს არ დასცალდა...

— უუუუჰ, უუუუჰ, ერთი მძლავრათ დასძახა ზღვამ და მისს ნაპირს კვლავ ძალით დაეჯახა გაშმაგებული ტალღა, თითქო ზღვამ განგებ გამოისროლა ვისმეს დასალუბათ, თითქო განგებ მოქმედობდა ბოროტების ჩასადენათ!.. რა ამბავია? რა მოხდა? ნაპირს გადმომცდარი ტალღა მძლავრათ დაეჯახა ილიკოს მუხლებს. ხალხი მოსწყდა ადგილიდან, გაიქცა და იქ მხოლოდ ერთი და დარჩა წაფორთხოლებული, ილიკო მიწაზე დაეცა პირქვე: საბრალო ბავშვი!.. ერთი და დასცალდა რომ შეშინებული ხმით დაეძახა:

— დედა! მიშველე დედაო...

ტალღა ჩვეულებრივით ზღვისკენ უკანვე გაქანდა.. ხმელეთს მოსტაცა ჯერ გაუშლელი, ნორჩი ყვავილი, მოსტაცა დედას საბრალო ილიკო და ზღვის გაუმაძღარ გულს უმსხვერვლა. აქაფებულმა ტალღებმა ერთიც მძლავრათ ჩაპკოცნეს ილიკო, ერთიც მხიარულათ მალღა აისროლეს ის, ვით სათამაშო ბურთი, და შემდეგ გამეტებით გადაისროლეს ზღვის ბოროტ გულში. უბრალოთ იძახდა დათიკო:

— ილიკო, ილიკო, წავიდეთ, ბიჭო, მაგრამ ილიკოს პასუხის მაგივრათ ზღვის მკაცრი ღრიალი ესმოდა.

— ბავშვი დაიღრჩო. ტალღებმა მოიტაცა, დაიღრჩო!.. გაისმა ხმა. ხალხი აირია, ატოკდა, აჩოჩქოლდა. ახლა გემი არავის ახსოვს, ახლა ზღვის მახლობელ სივრცისკენ, შიშით გარემოცულ სივრცისკენ, იცივებიან.

— ბავში დაიღრჩო, საბრალო, რა მალე, რა უეცრათ!..

— ვაი შენს დედას, საბრალოვ... საცოდავო დედა!..

ახლა მიხვდა დათიკო, ილიკოს ამხანაგი დათიკო, რომ ილიკო დამხვრჩვალა. ატირებული, სრულიათ ფერდაკარგული, შეშინებული და აცახცახებული დათიკო შინისკენ გაქანდა...

ივლიტე ამ ღროს თავის ილიკოსათვის ჩაის ამზადებდა.

— იპონეს, იპონეს! .. გაისმა ხმა.

— გაშმაგებულმა ტაღლებმა გამალებით, ამოისროლეს ბავშვი იმ ადგილას, საიდანაც პირველად მოიტაცეს იგი — საბრალო ილიკო! სრულიათ გალურჯებული, გაშემებული, სახე მიმქრალი, ბავშვი უძრავათ იდო პირადმა. მისი დატანჯული სახე თითქოს უჩიოდა ყველას... რა დაგიშავეთო!

— მიჩვენეთ ილიკო, მიჩვენეთ შვილი, ხო ცოცხალია!.. ილიკო... აა! შვილო?... აცახცახებული დედა გაექანა იქითკენ, საიდანაც ხმა მოისმოდა, — იპონესო .. გაექანა და თავს დაატყდა უძრავ გვამს — ერთი აკოცა გაცხარებით, — შვილო, კვლავ წამოიძახა გაფითრებულმა... — შვილო, კვლავ შეჭკივლა მეორედ და უსულო გვამი გულში ჩაიკრა .

— ხმა მომე, ილიკო, შენი დედა ვარ; შვილო, რა გორა ხარ შვილო... და გაფითრებული, ღონე მიხდილი ივლიტე ძირს დაეცა, შვილიც თან დაიყოლია... გული შეუწყუხდა!..

დიდ ხანს არ გაუვლია, დედა მოსულიერდა, ის ახლა სულაც არ ცხარობს... არც შფოთავს, მხოლოთ ხან და ხან არეულათ ამბობს, საბრალო:

— მალე მოვა ჩემი... ილიკო, მე პურს ვუყიდი... ჩაის დაუმზადებ!..

უბედური დედა ქკუაზე შეიშალა.

ახლაც ქალაქ ბ — შში, ზღვის ნაპირას დაინახავთ ხოლმე შავძაძებში გახვეულ დედაკაცს, რომელიც ზღვის ნაპირას წინ და უკან დადის და თავისთვის ჩუმათ ბუტბუტებს:

— მალე... მოვა ჩემი ილიკო... მე მას... პურს ვუყიდი ჩაის დაუმზადებ ..

— მალე... მოვა ჩემი ილიკო!...

ბ. გელა.





† ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი.

ღევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი



არსულ 28 ოქტომბერს, ღამის ოთხ საათზე დიდებული მსკოვანი მწერალი ღევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი გამოვიდა თავის სახლიდან, რომ აღარ დაბრუნებულეყო თავის საყვარელ იასნაია პოლიანაში. ის სამუდამოდ გამოეთხოვა იმ ცხოვრებას, რომელსაც ვეღარ გაუძლო, რადგან მას ელო ფუფუნების და სიმდიდრის ელფერი.

ტოლსტოი მთელი თავისი ცხოვრებით, ჩაცმულობით, ნაწერებით ამტკიცებდა, რომ მას უყვარს უბრალო ცხოვრება, თავისუფალი ყოველგვარ პირობებისაგან; მას უნდოდა ეცხოვრა ისე როგორც ცხოვრობდენ მისი მეგობრები იასნა-პოლიანელი გლეხები. ოც ოქტომბერს მან მისწერა ერთ თავის მეგობარ გლეხს: „მიშოვნეთ თქვენ ახლოს პატარა თბილი ქოხი მინდა მანდ მოვიდე.“

ტოლსტოის სიკვდილი გლეხებისთვის მეტად საგრძნობელია, მათ დაჰკარგეს საუკეთესო მეგობარი. ისინი დაობლებულათ გრძნობენ თავს. იმ უბრალო ტილოს ნაქერზე, რომელიც მკვდარს მიუტანეს, ეწერა შემდეგი: „დაობლებულ გლეხებისაგან“ ტოლსტოი მათთვის ძალიან ზრუნავდა—გლეხების სახლები ამ სოფელში კარგათ ნაშენებია, გლეხებს აქვთ სკოლა, სადაც ხშირად თვითონ გრაფი ასწავლიდა. ამ სკოლისთვის თითონვე სწერდა წიგნაკებს. ის იყო მათი სწორი, მათი მასწავლებელი.

აი როგორ იხსენებენ ტოლსტოის იასნა-პოლიანელი ბავშვები: „მოგვიყრის ხოლმე თავს, გვიამბობს, როგორ ცხოვრობს ხალხი სხვა და სხვა ქვეყნებში, მღერის ჩვენთან ერთად.



სხვები ეტყვიან ხოლმე: „მოგცლოათ ერთი, რათა გვეჩვენოთ ეს ბავშვები.“ ის კი იცინის. ზღაპრეს გვეუბნება. ზამთრობით მოხუცი გრაფი ხელამურებს გვაძლევდა და ჩვენ ყინულზე დავცურავდით. „არ გგცოდებათ გრაფი? ეკითხებიან „როგორ არა! სხვა ვინ მოინდომებს ჩვენთან დროს გატარებას?

მერმე ბავშვებმა გვიჩვენეს საბანაო, სადაც ყმაწვილები გრაფთან ერთად ბანაობდნენ ზაფხულობით.

მთელი თავისი სიცოცხლე ტოლსტოი ქადაგებდა სიყვარულს, ადამიანის პიროვნების პატივისცემას, ვინც უნდა ყოფილიყო, იგი. მამაკვდავი ტოლსტოი ეუბნებოდა თავის ქალს. „რათა ხართ ყველანი ჩემთან? მე მარტო ერთი ვიტანჯები, იქ კი მილიონი ხალხი იტანჯება!“ როგორ უნდა ყვარებოდა მოყვასი, რომ უკანასკნელ წუთშიაც ახსოვდა ტანჯული ხალხი.

ყველა თავის ნაწერებში ტოლსტოის გაჰყავს ის აზრი, რომ ადამიანის უპირველეს მოვალეობას შეადგენს თავის თავის გაუმჯობესობა, რომ ადამიანმა უნდა თავისში ჰპოვოს „სასუფეველი ღვთისა“

ძლიერ მოხუცი იყო ტოლსტოი, ოთხმოც და ორი წლისა იქნებოდა, მაგრამ უკანასკნელ დღემდის დაუღალავათ მუშაობდა. უბრალო ტანისამოსში გამოწყობილი უვლიდა მთელ სოფელს, იცოდა ყველას გაჭირვება; ყველა მიდიოდა მასთან თავისი დარდის გასამხელათ. წყნარი, მშვიდი და უბრალო სიტყვებით უხსნიდა ტოლსტოი, რომ ყოველისთვის წარმავალია—დიდება, წარჩინება, პატივისცემა, მხოლოდ სამუდამო ადამიანის სულის სიდიდე, სილამაზე. ის ქადაგებდა: „კეთილი იყავით, რადგანაც სიკეთეა—პირველი ადამიანის სულის მოძრაობა. აი როგორი მშვენიერ წერილს სწერს იგი ერთ ბავშს. „გირჩევ შენ, კარგო ბიჭო, მთელი შენი სიცოცხლე ანიერიდან, რამდენი ძალაც შეგწევს, ისწავლო როგორი კეთილი უნდა იყო ყველასათვის, ვინც უნდა იყოს: გამზღვლი, მამა, დედა, ძმები თუ მეგობრე—ვისაც კი ხედავ—ყველას სიკეთე უნდა მოინდომო. ეს ადვილი არ არის. ისე უნდა ისწავლო, როგორც სწავლობ წერა კითხვას, სკრიპკაზე და ფორ



ტოპიანოზე დაკვრას. ამეებს ერთხელ შეისწავლი და გაათავად
საქმე. სიკეთის შესწავლას კი ვერასოდეს ვერ გაათავებ და ის
არის უფრო საგულისხმო, რომ არც ერთი სწავლა მაგდენ
სიხარულს არ მოგანიჭებს, რასაც ესა: რაც უფრო მეტ სიკე-
თის მინიჭებას სწავლობ, ამით უმეტეს სიხარულს გრძნობ და
ყველა შენ უფრო და უფრო შეგიყვარებს. ასე მოიქეცი, გეუ-
ბნები, ყოველ წამს გახსოვდეს რომ უნდა იყო კეთილი “

როგორც ხედავთ ეს არის დიდებული მხცოვანი მწერა-
ლი—გენიოსი, რომლის თვითეული ნაწერი განძია, მისი მარ-
ტო ერთი ნაწერიც საკმარისია, რომ უკვდავი შეექნა დამწე-
რის სახელი. ეს ადამიანი, რომლითაც ამაყობს მთელი კაცო-
ბრიობა, რომელიც ყველას თავისიანათ მიაჩნია—არის პირველი
მეგობარი ბავშვებისა. ის არასოდეს არ იფიწყებდა იესო ქრი-
სტეს სიტყვებს: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი
შენი, გაუშვით ბავშვები და ნუ დაუშლით ჩემთან მოსვლას,
რამეთუ მათი არს სასუფეველი ღვთისა. ქეშმარიტათ გეტყვით
თქვენ, რომელი არ იყოს, ვითარცა პატარა, არ იხილოს სა-
სუფეველი ღვთისა.“

ჯეჯილის სხვა და სხვა წლების ნომრებში იყო ნათარგმნი
მისი წვრილი ამბები და ამ ნომერშიაც მოთავსებულია მო-
თხრობა „ილიოსი“ რომელიც ახასიათებს ტოლსტოის შეხე-
დულებას ცხოვრებაზე—სიმდიდრეზე.

ამავე ნომერში იბეჭდება თარგმანი მისივე მოთხრობა:
„კავკასიის ტყვე“.

ბ. ფ.





კავკასიის ტყვე.

(ლევ ტოლსტოისა).

უწინდელ დროში კავკასიაში მსახურებდა ერთი აფიცერი, გვარათ ჟილინი. ერთხელ ჟილინს სახლიდან წერილი მოუვიდა. მოხუცებული დედა სწერდა: „დავებრდი შვილო, და მსურს სიკვდილის წინ ერთი უკანასკნელად გნახო, მოდი გამოსათხოვებლად; დამმარხე და მერე ისევ წადი შენ სამსახურშიო“. ჟილინი დედის წერილზე დააფიქრა. „მართლაც, ძალიან მოხუცდა დედა ჩემი, — ფიქრობდა ჟილინი, — შესაძლოა ველარც კი დამიხვდეს ცოცხალი“. ჟილინიმა უფროსისაგან დროებითი ნება — რთვა აიღო, ამხანაგებს გამოეთხოვა. გამოსათხოვებლათ თავის ჯარის-კაცებს ოთხი ჩაფი არაყი მისცა და გაემგზავრა რუსეთისაკენ.

იმ დროს კავკასიაში გაცხარებული ომი იყო. გზაში არავის უშვებდნენ არც დღე და არც ღამე. თუ რომელიმე რუსთაგანი მოშორდებოდა ციხეს, მას თათრები ან მოჰკლავდნენ და ან ტყვეთ წაიყვანდნენ. ამიტომ მთავრობისაგან დაყენებული იყო ერთი ციხიდან მეორეცდის ჯარის-კაცები მგზავრების დასაცავათ.

ჟილინი რომ რუსეთისაკენ მიემგზავრებოდა, ზაფხული იყო. დილა ადრეიან ციხესთან ნოგროვდნენ მგზავრები ურმებითა და ცხენებით და უცდიდნენ ჯარის-კაცების გამოსვლას. ბოლოს გამოვიდნენ ჯარის-კაცებიც და ყველანი ერთად გაუდგენ გზას. ჟილინი ცხენზედ იჯდა, მხოლოდ მისი ნივთები ურმით მიჰქონდათ ჯარის-კაცებს. სულ უნდა გაეგლოთ 25

ვერსი. მგზავრები ძალიან ნელა მიდიოდნენ. ხან ურემს ტყედებოდა რამე, ხან ცხენები გაჩერდებოდნენ და ამ დროს ყველა მგზავრებიც გაჩერებული იცდიდნენ. მზე უკვე გადაიხარა დასავლეთისკენ და მათ ნახევარი გზაც არ ჰქონდათ გავლილი პაპანაქება-სიციხე და წერა-გზის მტვერი სულს უხუთავდა მგზავრებს, თავის შესაფარებელი ადგილი არსად იყო. გზაზედ ერთი ხე ან ჩირგვი არსად შეხვდებოდათ. ჟილინი დაწინაურდა, კარგა დიდ მანძილზე მოშორდა სხვა მგზავრებს და მერე გაჩერდა, რომ სხვა მგზავრებიც დაწეოდნენ. ჟილინს კარგა ხანს მოუხდა მოცდა. იცდის ჟილინი და თან ფიქრობს: „მოდით მარტო ვივლი მკორე ციხემდის. ცხენი მარჯვე მყავს, კიდევ რომ დამიჭირონ თათობმა მაინც გამოვექცევი. ამასობაში ჟილინს მეორე აფიცევი წამოეწია. ეს აფიცერი კოსტილინი იყო. კოსტილინიც ცხენზედ იჯდა და თოფი მხარზედ ჰქონდა. „მარტო იმგზავროთ ჟილინო, — უთხრა კოსტილინმა; „სიციხემ შემაწუხა და ძალიანაც მშიან“. კოსტილინი მსხვილი და მსუქანი კაცი იყო. სიციხისაგან სულ გაწითლებულიყო და პირისახიდან თოფი წყალივით ჩამოსდიოდა. „თოფი ხომ მზათა გაქვს“ — ჰკითხა ჟილინმა. — როგორ არა! — „მაშ კარგი! წავიდეთ“. გადაწყვიტა ჟილინმა და გაუდგენ გზას.

მიდიან და თან აქეთ იქით იცქირობიან. გზა შუა მინდორზე მიდიოდა და დიდ მანძილზე იხედებოდა ყველაფერი. მინდორი რომ გაიარეს ერთ დიდ ხეობაში შევიდნენ. გზა შუა ხეობაში გადიოდა, მთებსა და მთებს შორის. ჟილინმა თქვა: „ამ მთაზედ უნდა ავიდეთ და გადავიხედოთ, თორემ უცებ გამოხტება ვინმე გზაზედ, ისე რომ ვერც კი დაინახავ“ და წავიდა ცხენით მთისაკენ. ჯერ გზის ნახევარიც არ გავიდა, რომ გაიხედა და ერთი ქცევის სიშორეზედ ოცდაათი ცხენოსანი თათარი დაინახა. ჟილინმა მალე მოაბრუნა ცხენი უკან და გამოიქცა. თათრებმაც მოჰკრეს თვალი ჟილინს გამოეკიდნენ უკან ცხენებით და თან თოფებს იღებენ სათოფე ტყავებიდან. ჟილინი გააქენებს ცხენს და თან უყვირის კოსტილინს: თოფი მოიმზადე და მზათ იყავიო. თავის ცხენს

გულში ეუბნება: „არ მილაღატო, ჩემო ცხენო, ფეხი არ წიბორძიკო, თორემ დავიღუპებით. მივალწევ თოფამდის და მერე თავს უშველიო“. კოსტილინმა კი მის მაგიერ, რომ ამხანაგისთვის მოეცადა, — დაინახა თუ არა თათრები, მოჰკურცხლა უკანვე ციხისაკენ. მტვრის ბუქში ჟილინი მხოლოდ კოსტილინის ცხენის კუდს და ხედავდა. ჟილინი მიხვდა, რომ საქმე ცუდათ იყო: თოფი კოსტილინმა წაიღო და მარტო ხმლით აბა რას დააკლებდა თოფებით შეიარაღებულ თათრებს. ჟილინმაც დააპირა ჯარის კაცებისაკენ გაქცევა, მაგრამ ხუთმა თათარმა გზა მოუჭრას და წინ გადაეღობენ. ჟილინს თავის ცხენის იმედი ჰქონდა, მაგრამ არც თათრებს ჰყავდათ ნაკლები ცხენები. ჟილინმა დააპირა ცხენის უკან გამობრუნება, მაგრამ ერთხელვე გაქცეული ცხენი ვეღარ შეიკავა და პირდაპირ ხუთი თათრისკენ მიჰქენებდა ცხენს. ხედავს ჟილინი, რომ მას უახლოვდება წითელ წვერა თათარი, რომელიც რუხე ცხენზედ იჯდა ჟილინი პატარა ტანისა იყო, მაგრამ სამაგიეროთ ძალიან სწრაფი, იწიშვლა ხმალი და გაექანა პირდაპირ წითელი თათრისაკენ; თან ფიქრობს „ან ცხენით წავაქცევ და ან ხმლით მოვკლავო“. ის იყო მიუახლოვდა ჟილინი იმ თათარს, მაგრამ სწორედ ამ დროს ერთმა თათარმა უკანიდან თოფი ესროლა და ცხენი დაუჭრა. ცხენი წაბორძიკდა და დაეცა ძირს. მაგრამ საუბედუროდ ჟილინის ფეხი ქვეშ მოჰყვა. ჟილინმა სცადა ზეზედ ადგომა, მაგრამ უცებ ოთხმა თათარმა უკანიდან სტაცეს ხელი და ლამობდნენ ხელების უკან გაკვრას. გამწარდა ჟილინი, შეინძრა მთელი ტანით, მოიშორა ოთხივე თათარი, მაგრამ კიდევ სამი თათარი მოვიდა ამასობაში და სუყველამ დაუწყო ჟილინს თოფის კონდახებით ცემა პირისახეში წითელ წვერა თათარი ცხენზედ შეჯდა, სხვებმა კი ჟილინი ცხენზედ შესვეს, შემოეხვიენ გარს და წავიდნენ მთისაკენ.

დიღხანს იარეს მთიდან მთაზედ, გავიდნენ ერთ მდინარეში და წავიდნენ შარა გზით. ჟილინს უნდოდა გზა მაინც დაესწავლა სიღეთ მიჰყავდათ, მაგრამ თვალეხი სისხლით ჰქონ-

და ავსებულნი და გვერდზე გახედვაც ვერ შეეძლო. გრძელ
შელამდა. როცა თათრების სოფელში შევიდნენ. თათრები ცხე-
ნებიდან ჩამოხტნენ; მალე მოგროვდნენ თათრების ბავშვები, შე-
მოეხვიენ გარს ჟილინს და ქვების სროლა დაუწყეს. ერთმა
თათარმა გაფანტა ბავშვები, ჩამოიყვანა ჟილინი ცხენიდან
და დაუძახა მუშას. მუშამ ბორკილები მოიტანა; შეუკრეს
მითი ჟილინს ფეხები და ისე წაიყვანეს თავლაში, შეაგდეს
შიგ და გამოლკეტეს კარები. ჟილინი მიწაზე გაითხლაშა. დიდ-
ხანს იყო ამ მდგომარეობ. ში, მერე სიბნელეში ხელით მონა-
ხა სად უფრო რბილი მიწა იყო და დაწვა დასაძინებლათ.
მაგრამ თითქმის მთელ ღამეს არ სძინებია საწყალს. ღამე ძა-
ლიან გრძლათ ეჩვენა. ხედავს ბოლოს ღინათლემ შემოიჭკრი-
ტინა ქუქრუტანებში. ჟილინი წამოდგა; მივიდა კედელთან,
ქუქრუტანა უფრო გადიდდა და გარეთ ცქერა დაიწყო. პირ-
ველათ ჟილინმა შეამჩნია გზა. რომელიც მთიდან ჩაოდლიდა.
პირდაპირ თათრის სახლი იყო. საძირკველთან დიდი ძალლი
იწვა, თხა პატარა ბეკეკეებით იქვე ბალახს სძოვდა კუნტრუ-
შით. ცოტა ხნის შემდეგ ჟილინი ხედავს მთის გზაზედ მოდის
ახალგაზრდა თათრის ქალი. იმ ქალს მხარზედ წყლის დოქი
ედგა, მიდიოდა სახლისაკენ და შევიდა სწორედ იმ სახლ-
ში, რომელსაც ჟილინი ხედავდა. სახლიდან გუშინდელი წი-
თელ-წვერა თათარი გამოვიდა, მას წელზედ ვერცხლის ხან-
ჯალი ეკიდა, ფეხებზედ ფოსტლები ეცვა და თავზე მალა-
ლი ბუხრის ქუდი ეხურა. ცოტა ხანს გარეთ გაჩერდა,
მერე რალაც უბრძანა იქვე მყოფ მუშას და სადღაც წავიდა
გამოცვინდნენ პატარა თავგაკრეპილი ბავშვები, მიცვივდნენ
იმ თავლასთან, სადაც ჟილინი იყო და ქუქრუტანებში სახ-
რეებს უყოფდნენ, ვითომდა ჟილინის გასაჯავრებლათ. ჟილინ-
მა ბავშვების შესაშინებლათ ერთი ხმა-მალლა დაიყვირა, ბავ-
შვები შეშინდნენ და აქეთ-იქით გაიფანტნენ.

ჟილინს კი ძალზე სწყუროდა, ყელი გაუშრა. უცებ თა-
ვლას კარები გაიღო. შემოვიდა წითელ-წვერა თათარი და
მასთან კიდევ მეორე შავვრემანი, დაბალი ტანისა. ჟილინმა



ხელებით ანიშნა წყალი დამალევენეთო. შავი თათარ-მხედრები
 რასაც თხოვდა ჟილინი; გაიცინა, გაიხედა გარეთ და დაუძახა
 ვილაცას: - დინა! " უცებ მოირბინა პატარა ცამეტი წლის
 ქალმა, რომელიც შავ თათარს მიესგავსებოდა. პატარა ქალს
 შავი თვალები და ლამაზი პირისახე ჰქონდა. ტანთ გველი
 ცის ფერი კაბა ეცვა, ფართე სახელოებით, უქამროთ. ფეხზედ
 მაღალი ქუსლებიანი ფეხსაცმელი ეცვა შავ თმაში ლენტი
 ჰქონდა გაკეთებული და ლენტზედ კიდევ დიდი ვერცხლის
 მანათიანი ეკიდა. მამამ რაღაც უბრძანა. ქალი გაიქცა და
 მალე წყლის დოქით მოირბინა. დაჯდა იქვე და უცქეროდა
 როგორ წყალს სვამდა ჟილინი. ისე უყურებდა იმას როგორც
 გარეულ მხეცს. ჟილინმა პატარა ქალს დოქი ისევ უკან მია-
 წოდა; თათრის ქალი გარეულ თხასავით წამოხტა ზეზედ და
 გაიქ ა, მამასაც სიცილი მოუვიდა, წავიდენ თათრები და გაი-
 ხურეს კარებიც.

კოტა ხნის შემდეგ ჟილინთან მივიდა ერთი მუშა და
 უთხრა: . აიდა ხაზიანი! აიდა! " ჟილინი მიხვდა, რომ სად-
 ლაც წასვლას უბრძანებდენ. გაჰყვა მუშას, მაგრამ ბორკილი
 ძალიან უშლიდა სიარულს, კოკლობდა, ფეხები თავისნებაზე
 ვერ გადაედგა. ერთ სახლთან სამი შეკაზმული ცხენი იდგა.
 სახლიდან გამოხტა მოშავო თათარი, დაუქნია ხელი ჟილინს
 აქ მოდიო, თან იცინოდა და რაღაცას ლაპარაკობდა თათ-
 რულათ, თათარი შებრუნდა სახლში და ჟილინიც შეჰყვა.
 სახლის კედლები სულ ძვირფასი ხალებით იყო მორთული.
 ხალებზე ვერცხლით მიკედილი თოფები. რევოლვერები და
 ხმლები ეკიდა. კედლებთან ტახტები იდგა, რომლებიც ხალი-
 ჩებით და ნოხებით იყო გადაფარებული. ტახტზედ მოკეცილი
 ისხდენ თათრები: შავი, წითელი და სამიც სტუმარი. ზურგი
 ყველას ბალიშებზედ ჰქონდათ მიყრდნობილი. წინ კი სხვა
 და სხვა თავისებური საკმელები და თათრული ლუდი ედგათ.

თათრებმა თავის ენაზე მოილაპარაკეს. მერე ერთი სტუ-
 მართავანი მიუბრუნდა ჟილინს და უთხრა რუსულათ: „შენ
 დაგატყვევა კაზი მუხამედმა, (უჩვენა წითელ წვერა თათარზე) და

მისცა შენი თავი აბდულ მურატს (მიუთითა შავ თათარზე) აბდულ-მურატი ეხლა შენი ბატონია“. აბდულ-მურატმა დაიწყო ლაპარაკი, ხელით უჩვენებს ქილინზე ტთანაც იცინის: „საღდათ უროს! ქარაშო ურუს!“ მთარგმნელმა თათარმა აუხსნა ქილინს, აბდულმურატი შენ გიბრძანებს: სახლში წერილი მიწერე, რომ გამოგიყიდონო. მოგცე თუ არა ფული, მაშინვე გაგანთავისუფლებენო. ქილინი დაფიქრდა და უთხრა: „მერე რამდენს თხოვლობს ეგ ჩემ გამოსასყიდლათო?“ — სამ ათას მანათს. — „არა! — უთხრა ქილინმა. — მე მაგდენი ფულის გადახდა არ შემიძლია!“ — შენ მაინც რამდენს მისცემდიო? შეეკითხა კიდევ თათარი. — 500 მანათს, მიუგო ქილინმა, თათრებმა რაღაც წაილაპარაკეს; ჯერ სათითაოდ, მერე სუყველამ ერთად. აბდული უყვიროდა, უჯავრდებოდა წითელ თათარს: წითელი თათარი, მხოლოდ თვალებს აფახურებდა და ენას ასიქსიქებდა. როცა ყველანი დაჩუმდნენ მთარგმნელმა უთხრა ქილინს: შენი ბატონისთვის ძალიან ცოტაა ხუთასი მანეთი. თითონ მან შენში 200 მანეთი მისცა მურადს. სამ ათას მანეთზე ნაკლებს არა ჯერდება. თუ არ მისცემ ორმოში ჩაგაგდებენ. „ეჰ!“ ფიქრობს ქილინი; თუ შევშინდები ამათთან ვერაფერს გავხდები, უფრო ცუდია“. წამოხტა ფეხზე და უთხრა: „შენ მაგ ძალღს უთხარი, რომ თუ არ გამიშვებს ამ ფასად — შე ერთს გროშსაც არ მივცემ და არც წერილს მივწერ დედ-მამას. აქამდის არ მშინებია თქვენი და არც შემდეგში შეგიშინდებით, თქვე ძალებო!“

მოილაპარაკეს თათრებმა და გაგზავნეს საღდაც ერთი მუშა; თითონ კი მალ მალე კარებისაკენ იცქირებოდნენ. დაბრუნდა მუშა და თან ვიღაც კაცი მოიყვანა. ეს კაცი ფეხშიშველა იყო, ტანისამოსიც შემოხეული ჰქონდა; ფეხებზედ მასაც ბორკილი ეკიდა. ქილინი ძალიან გაოცდა, როცა გაიგო რომ ეს ტყვე კოსტილინი იყო. ისიც დაეტყვევებიათ. ქილინი და კოსტილინი ერთად დასვეს. ისინი ერთმანეთს უამბობდნენ თავიანთ დატყვევების ამბავს, თათრები კი პირდაღებული შესცქეროდნენ. ქილინმა უამბო კოსტილინს როგორ დაი-



ქირეს ის თათრებმა. კოსტილინმაც უამბო: ჩემი ცხენი მალე დაი-
 ლაღა, თოფიც ველარ ვიხმარე, წამომეწია აი ეს თათარი და
 დამიქირაო (უჩვენა აბდულზე). აბდულ წამოდგა ფეხზედ და
 რაღაც წაილაპარაკა. მთარგმნელმა გადაუთარგმნა მათ აბდუ-
 ლის სიტყვები: „თქვენ ეხლა ორივენი აბდულას ტყვეები
 ხართ, რომელიც უწინ მოიტანს ფულს იმას გავანთავი-
 სოფლებთო“. „აი! მიუბრუნდა ეილინს—, „შენ სულ ჯავ-
 რობ და შენი ამხანაგი კი ძალიან წყნარა კაცოა. ამან მიწე-
 რა სახლში წერილი და ხუთი ათასი მანათი შეუთვალა. ამას
 კარგათაც აქმევენ და არ გააჯავრებენ ხოლმე“. — „ამხანაგს
 როგორც სურს ისე მოიქცეს, უთხრა ეილინმა, — იქნება ის მდი-
 დარი იყოს. მე როგორც ვთქვი მეტს არას დავუმატებ. თუ
 გინდათ მომკალით, ამითი თქვენ არაფერი გესარგებლობათ,
 სახლში კი მაგაზე მეტს არ მივწერ“! ყველანი დაჩუმდნენ.
 უცებ წამოხტა ზეზედ აბდულა, ამოიღო ყუთიდან საწერ-
 კალამი და ქალაღდის ნახევი; მიაწოდა ეილინს ხელში, მხა-
 რზედ ხელი დაადო და უთხრა: „ხარაშო, ურჯს! დასწერე
 ეხლავე“! დათანხმდა 500 მანათზე.

ეილინი და კოსტილინი თავლაში გაიყვანეს. მოუტანეს
 ცოტა ხნის შემდეგ ჩაღა, დოქი წყლით, ორი ძველი ჩოხა
 და ჯარის-კაცის წაღები. ალბათ მოკლულ ჯარის-კაცისთვის
 გაეხადათ ეს წაღები. ღამით შეხსნეს ბორკილები, გამოიკე-
 ტეს თავლის კარი და დატოვეს შიგ ტყვეები. მთელი ერთი
 თვე ეილინი ჰყავდათ ტყვეთ. ძალიან ცუდათ აქმევდნენ, მხო-
 ლოდ ხმელა ჰჯრზე უნდა გადაეტარებია სადილი. კოსტი-
 ლინმა ხელმეორეთ მისწერა თავისიანებს წერილი; უცდიდა
 ფულის მიღებას და დაღვრემილი იყო. სულ იმის ფიქრში
 თუ, როდის მიიღებდა ფულს და განთავისუფლდებოდა, ან
 არა და ეძინა დღეც და ღამეც. ეილინმა კი იცოდა, რომ
 მისი წერილი არ მივიღოდა ადგილზე, რადგან წერილზე ნამ-
 დვილი ადრესი არ დაუწერია; მეორეთ კი აღარ მისწერა.
 „დედა-ჩემს სადა აქვს იმდენი ფული რომ გამომიგზავნოს“
 ფიქრობდა ეილინი, — „ხუთასი მანათის გადახდა მას სულ

დალუპავს. ღმერთი მოწყალეა, იქნებ როგორმე სხვანაირად უშველო თავს“. თითონ ხან მღეროდა, ხან კიდევ თიხისაგან აკეთებდა დედოფალებს და სხვა სათამაშო ნივთებს. ქილინს ყოველგვარი ხელსაქმარი ეხერხებოდა.

ერთხელ გააკეთა თიხის დედოფალი. გაუკეთა მას ლამაზი ცხვარი და ხელები, ჩააცვა თათრული პერანგი, გაიტანა გარეთ და სახურავზედ დასვა. თათრების ბავშვები წყალზედ მიდიოდნენ. პატარა დინამ დინახა დედოფალი და დაუძახა სხვა ბავშვებსაც. დადგეს დოქები, უცქერიან დედოფალს და იცინიან. ქილინმა ჩამოიღო დედოფალი და გაუწოდა მათ ისინი იცინოდნენ, მაგრამ გამორთმევას მაინც ვერა ბეზღადედნენ. მაშინ ქილინმა დედოფალი მიწაზედ დატოვა, შევიდა თავის ბინაზე და უცდიდა რას იზამენ ბავშვები, აიღებენ თუ არა დედოფალსაო. დინამ გაიხედა თავლისაკენ, მიიბრინა დედოფალსთან, დააფლო ხელი და გაიქცა. მეორე დღეს ქილინმა დაინახა დინა, რომელსაც ხელში დედოფალი ეჭირა. დინას დედოფალი სხვა და სხვა ფერ ნაჭრებში გამოეხვია, არწევდა. თითქოს აკვანში უწევს ბავშიო და ნანასაც დამღეროდა. გამოვიდა სახლიდან მოხუცებული თათარი, დაუნახა დინას დედოფალი, გამოგლიჯა ხელიდან და მიწაზედ დაახალა; დინა კი სამუშაოდ გაგზავნა. ქილინმა ეხლა უკეთესი დედოფალი გააკეთა და დინას აჩუქა. ერთხელ დინამ ქილინს პატარა დოქი მიუტანა, დადგა ძირს და თითონ იქვე დაჯდა; ქილინს ხელით უჩვენებს დოქზედ და იცინის: „რას მეუბნება ეს ბავშიო“, — იფიქრა ქილინმა. აიღო დოქი და დაუწყოს სმა. მას წყალი ეგონა და რძე კი ყოფილიყო შიგ. „გმადლობ!“ უთხრა ქილინმა დინას. მას შემდეგ დინას ჩუმად მოჰკონდა ხოლმე რძე ქილინთან.

(შემდეგი იქნება)

ბ. ვეფხვაძე.



ი ს ა ვ რ ო (ქამელეონი)

ბრემიდან



მ წერილში მინდა ვიამბოთ ერთ პატარა სულდგმულზე, რომელიც ცხელ ქვეყნებში იცის და რომელიც ეკუთვნის ქვეწარმავალთა ჯგუფს.

საკვირველი რამ არის ეს ცხოველი თავის გარეგნობით და ზნე-ჩვეულებით. დინჯია, სიარული აქვს წყნარი და ენის ხმარება ნადირობის დროს სწრაფი. ეს ნიშნები ყოფილა მიზეზი, რომ ძველად ყურადღება მიუქცევიათ მისთვის ბერძნებს და დაურქმევიათ მოხდენილი სახელი

„ქამელეონი“; ეს სიტყვა ნიშნავს **მაწის პატარა ლომს** ქართულად ჰქვიან „ისავრი“. აბა დაუკვირდით კარგად ამ ცხოველის სურათს, ტანი ვიწრო გვერდებ შეწეული, ქედზედ თითქო კბილებიანი გრებილი აქვს გადავლებულიო, თავი აქვს ჩ.ფხუტის (შღემი) მსგავსი, რომელიც თითქო ბიბილოთია მორთულიო; კისერი იმდენად მოკლე აქვს, რომ ძლივს ემჩნევა; ოთხივე ფეხი თითქმის ერთნაირად შალალი და ჩამოფხავებული, გამხდარი. თაოოყულს ფეხზე ხუთი თითი ასხია, მაგრამ ერთი მეორეზე მოშორებული როდია თითები: ორ ორი და სამ-სამი ერთად არის თავმოყრილი და გარს ახვევიათ საერთო კანი, ამნაირად თითოეულს ფეხზე ორ ჯგუფად განიყოფებიან თითები: ორი ერთის მხრითაა და სამი მეორე მხრით, ან სამი ერთის მხრით და ორი მეორე მხრით. წინაფეხებზე სამი უკანა თითი ერთად არის კანში მოთავსე-



ქართული
კინო-მეცნიერება

ბული და ორი წინა თითი ცალკე, უკანა ფეხებზე ნაირად არის: წინ სამი თითია ერთ კანში მოთავსებული და უკან ორი. ამ გვარი წყობილება თითებისა მარწუხს ამსგავსებს ისავროს თათებს მას შეუძლია მარწუხივით მოსქიდოს წინა უკანა თითები ხის შტოს და სხეული მარჯვედ ეჭიროს ხეზე. ტანზე აქვს პატარ-პატარა ხორკლები და ამ ხორკლებს შორის წვრილ-წვრილად ჩაუყვება ტყავის ნაკეცები. ამ ნაკეცების წყალობით შესაძლებელია ტყავი ძალიან გაიჭიმოს და ტანი დღე გაეხეროს ისავროს. კუდი აქვს გრძელი: მთელი სხეულის სიგრძეს ანგარიშობენ ხუთ-ექვს გოჯზე ზეტს და აქედან ნახევარი კუდს უნდება. კუდის ბოლო იგრანება ლოკოკინას ბუდის მსგავსად და ამიტომ ისავროს შეუძლია, როდესაც საჭიროა, მაგრად მოსქიდოს იგი ხის შტოსა.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ისავროს თვალები, რომელნიც მრგვლად გამოხერილან დიდზე თავის ქუთუთოებში გახვეულნი. ქუთუთოებს იმის პირდაპირ, სადაც თვალის ბაია არის, წვრილი ნახვრეტები აქვს და ამ ნახვრეტებიდან იქყეტება ისავრო. ახლა დაუყვირდით თვალების მუშაობას. ერთმანერთიან როდია შეთანხმებული მათი მოძრაობა, თითოეული თვალი ცალკე მუშაობს თავისთვის: ერთი რომ წინ იყურება, ან მალლისკენ იტკირება, მაშინ მეორე თვალს შეუძლია უკან იყურებოდეს ან დაბლისაკენ არც ერთს ქვეწარმავალს ასე არა აქვს მოწყობილი მხედველობა. ისავროს თავისუფლად შეუძლია თავის გარეშემო ცქერსა და დანახვა საგნებისა ყოველი მხრით ისე, რომ სხეული არ დასძრას. ეს გარეკობა ხელს უწყობს მას ნადირობაში.

ენაც რომ უცნაური აქვს რაღაცა! ძალიან გრძელი: რაც სხეულის სიგრძეა, იმის ნახევარზე მეტია. როდესაც მოსვენებით არის ისავრო, მაშინ ენა პირში აქვს შენახული, აგრ კოლოფში რომ რამე შეინახო, ისე. რომ მოაწვეს ენის ხმარების დრო, ვთქვამთ მწერი გაჩნდა სადმე მახლობ-



ლად, — ისავრო წყნარად პირს მიიბრუნებს მწერისაკენ და მწერი ზედ მიეკვრის ენას ბოლოზე. მას უკან ენა უკანვე შეიწევა; ყბები შეინძრევიან და დაღეჭენ საჭმელს მაშინ ისავრო ისევ პირვანდელს მდგომარეობაში ჩაღებება. გაყუჩდება, თითქო აქ არაფერი მომხდარაო. რომ უყურებ, სრულიად არ იძვრის; გეგონება ეს რაღაც ხორც მეტია ამოსული ხეზეო, ხის კორძია. რომელიც მოსხმია შტოებს ცხოველის ფეხებისა და კუდის სახითაო. მოძრაობა საოცრად ეზარება. მთელი დღე ისე გაივლის, რომ თითქმის ადგილს არ გამოიცვლის. შეიძლება ნელ-ნელა ჩამოეშვას შტოზე და ისევ ავიდეს წყნარად, მალა. ესაა და ეს მისი მოძრაობა. თუ თვალებისა და ენის მოძრაობას არ ვიანგარიშებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ იგი უძრავათ არის მთელი დღის განმავლობაში, თვალები კი გაუწყნარებლივ ტრიალებენ და ენაც უეცრად გამოვარდება ხოლმე პირიდან, როდესაც საშოვარზე მიღებება საქმე



რად გამოვარდება იქიდან ენა ერთი ორი გოჯის სიგრძეზე მწერისაკენ და მწერი ზედ მიეკვრის ენას ბოლოზე. მას უკან ენა უკანვე შეიწევა; ყბები შეინძრევიან და დაღეჭენ საჭმელს მაშინ ისავრო ისევ პირვანდელს მდგომარეობაში ჩაღებება. გაყუჩდება, თითქო აქ არაფერი მომხდარაო. რომ უყურებ, სრულიად არ იძვრის; გეგონება ეს რაღაც ხორც მეტია ამოსული ხეზეო, ხის კორძია. რომელიც მოსხმია შტოებს ცხოველის ფეხებისა და კუდის სახითაო. მოძრაობა საოცრად ეზარება. მთელი დღე ისე გაივლის, რომ თითქმის ადგილს არ გამოიცვლის. შეიძლება ნელ-ნელა ჩამოეშვას შტოზე და ისევ ავიდეს წყნარად, მალა. ესაა და ეს მისი მოძრაობა. თუ თვალებისა და ენის მოძრაობას არ ვიანგარიშებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ იგი უძრავათ არის მთელი დღის განმავლობაში, თვალები კი გაუწყნარებლივ ტრიალებენ და ენაც უეცრად გამოვარდება ხოლმე პირიდან, როდესაც საშოვარზე მიღებება საქმე

ქართული
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი

რაც განმასხვავებელი ნიშნოვლობა ესტკეით ისავერსა, ყველაზე უფრო საინტერესოდ ის მიაჩნდათ და ეხლაც მიაჩნიათ, რომ მას სჩვევია ხშირი ცვლილება ფერისა. ეს გარემოება ძალიან გამოსადეგია მისთვის: რადგან იგი თითქმის სულ ხეებზე და ბუჩქებზე ატარებს თავის დღეს და საზოგადოდ მომწვანო ფერს გადიკრავს, ძნელი გამოსაცნობია მწვანე ფოთლებში და ადვილი არ არის მისი პოვნა და დაჭერა. ზოგნი ჰფიქრობენ, ვითომ ამ ცხოველს თავის ნებაზე შეეძლოს მრავალ ნაირად შეცვლა ფერისა და იმისთანა ფერს ღებულობდეს, რა საგნებს შორისაც იმყოფება, მაგრამ მეცნიერი კაცები ვერ ადასტურებენ ამას. ეს კი უეჭველია, რომ მის სხეულს სჩვევია მრავალ-ნაირად შეცვლა ფერისა და ზოგ შემთხვევაში სხეულის მოყვანილობისაც. დილით, როდესაც მოსვენებით არის ისავერო, საზოგადოდ მოყვითანო ფერი აქვს მისს სხეულს. ზოლები, რომელიც ტანის სიგრძეს გაუყვება აქეთ-იქით გვერდზე და რომელიც სხვა დროს ღია ფერისა-არიათ, ამ დროს წითლად მოჩანან, სხვა დროს რომ მრგვალი წინწკლები აქვს ტანზე მქრქალი ფერისა, ახლა ის წინწკლები ან სულ გამქრალან, ან და იმდენი აღარ სჩანს, როგორც უწინ. მერმე, დილა რომ გაივლის, დღისითაც ისევ იმ ფერისაა ისავერო, როგორიც დილით იყო, მხოლოდ, გვერდებზე რომ ზოლები აქვს, ის ზოლები ახლა ღია ფერისა შეიქნენ, ხოლო წინწკლები მწვანე მუქისა. დილით რომ აიყვანო ხელში, იმ წამსვე მწვანე წინწკლები გამოაჩნდება ტანზე, როდესაც გაჯავრებულია ისავერო, მაშინ ტანი მისი ზევით მომწვანო ფერისაა, მუცელი მოლურჯო, გვერდის ზოლები მოთეთრო ფერისა, წინწკლები კი შავ ფერს გადაიკრავენ. აი ამ ნაირად და სხვა მრავალ-გაარადაც იცვლის ხოლმე ფერს ისავერო. მტერი თუ მიუახლოვდა ან ფრინველი, თუნდაც ისეთი, რომელიც იმას სრულიად ვერაფერს ავნებს, ისავერო ჯერ გაიბერება ბუშტივით და მასუკან მოჰყვება ფრუტუნს (ფთხვენას) და სისინს. ხელი რომ მიაკარო ამ დროს, იგი პირს წაგავლებს ხელზე და ცოტად კიდევ დააქერს კბილებს,



ლად, — ისაერო წყნარად პირს მიიბრუნებს მწერისაკენ, ხერხემაკე მე წყნარადვე პირს გააღებს. პირს რომ გააღებს, მაშინ უეც-



რად გამოვარდება იქიდან ენა ერთი ორი გოჯის სიგრძეზე მწერისაკენ და მწერი ზედ მიეკვრის ენას ბოლოზე. მას უკან ენა უკანვე შეიწვევა; ყბები შეინძრევიან და დაღეკენ საქმელის მაშინ ისაერო ისევ პირვანდელს მდგომარეობაში ჩაღვება. გაუჩნდება, თითქო აქ არაფერი მომხდარაო, რომ უყურებ, სრულიად არ იძვრის; გეგონება ეს რაღაც ხორც მეტია ამოსული ხეზეო, ხის კორძია. რომელიც მოსხმია შტოებს ცხოველის ფეხებისა და კუდის სახითაო. მოძრაობა საოცრად ეზარება. მთელი დღე ისე გაივლის, რომ თითქმის ადგილს არ გამოიცვლის. შეიძლება ნელ-ნელა ჩამოეწვას შტოზე და ისევ ავიდეს წყნარად, მაღლა. ესაა და ეს მისი მოძრაობა. თუ თვალეზისა და ენის მოძრაობას არ ვიანგარიშებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ იგი უძრავად არის მთელი დღის განმავლობაში, თვალეზი კი გაუწყნარებლივ ტრიალებენ და ენაც უეცრად გამოვარდება ხოლმე პირიდან, როდესაც საშოვარზე მიღვება საქმე



საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს

რაც განმასხვავებელი ნიშნოვლობა ვსთქვით ისაეროს, ყველაზე უფრო საინტერესოდ ის მიაჩნდათ და ეხლაც მიაჩნიათ, რომ მას სჩვევია ხშირი ცვლილება ფერისა. ეს გარემოება ძალიან გამოსადეგია მისთვის: რადგან იგი თითქმის სულ ხეებზე და ბუჩქებზე ატარებს თავის დღეს და საზოგადოდ მომწვანო ფერს გადაიკრავს, ძნელი გამოსაცნობია მწვანე ფოთლებში და ადვილი არ არის მისი პოვნა და დაქერა. ზოგნი ჰფიქრობენ, ვითომ ამ ცხოველს თავის ნებაზე შეეძლოს მრავალ ნაირად შეცვლა ფერისა და იმისთანა ფერს ღებულობდეს, რა საგნებს შორისაც იმყოფება, მაგრამ მეცნიერი კაცები ვერ ადასტურებენ ამას. ეს კი უეჭველია, რომ მის სხეულს სჩვევია მრავალ-ნაირად შეცვლა ფერისა და ზოგ შემთხვევაში სხეულის მოყვანილობისაც. დილით, როდესაც მოსვენებით არის ისაერო, საზოგადოდ მოყვითანო ფერი აქვს მის სხეულს. ზოლები, რომელიც ტანის სიგრძეს გაუყვება აქეთ-იქით გვერდზე და რომელიც სხვა დროს ღია ფერისა-არია, ამ დროს წითლად მოჩანან, სხვა დროს რომ მრგვალი წინწკლები აქვს ტანზე მქრქალი ფერისა, ახლა ის წინწკლები ან სულ გამქრალან, ან და იმდენი აღარ ჩანან, როგორც უწინ. მერმე, დილა რომ გაივლის, დღისითაც ისევ იმ ფერისაა ისაერო, როგორიც დილით იყო, მხოლოდ, გვერდებზე რომ ზოლები აქვს, ის ზოლები ახლა ღია ფერისა შეიქნენ, ხოლო წინწკლები მწვანე მუქისა. დილით რომ აიყვანო ხელში, იმ წამსვე მწვანე წინწკლები გამოაჩნდება ტანზე, როდესაც გაჯავრებულია ისაერო, მაშინ ტანი მისი ზევით მომწვანო ფერისაა, მუცელი მოლურჯო, გვერდის ზოლები მოთეთრო ფერისა, წინწკლები კი შავ ფერს გადაიკრავენ. აი ამ ნაირად და სხვა მრავალ-გვარადაც იცვლის ხოლმე ფერს ისაერო. მტერი თუ მიუახლოვდა ან ფრინველი, თუნდაც ისეთი, რომელიც იმას სრულიად ვერაფერს ავნებს, ისაერო ჯერ გაიბერება ბუშტივით და მასუკან მოჰყვება ფრუტუნს (ფთხვენას) და სისინს. ხელი რომ მიაკარო ამ დროს, იგი პირს წაგავლავს ხელზე და ცოტად კიდევ დააქერს კბილებს,



მაგრამ ვნებით კი არას გავნებს. ამ დროს ტანში მხოლოდ ფერად ჰღელავს და გაბერილი რომ არის, ამის გამო სულ სხვა ნაირი მოყვანილობა ეძლევა: ისე გამოებერება ხოლმე გვერდები, რომ გვერდის ძვლებს დაინახავ. ტყავი იმდენად გაეჭიმება, რომ შევიძლია მის ტანში გასქვრიტო, როგორც შუშაში, და ლანდათ დაინახო ხის შტოები ან გალიის მავთულები, რომელსაც ჩამოფერებია ისავრო.

ცხელი ქვეყნებს გარდა ისავრო სცხოვრობს ზოგიერთ სხვა ქვეყნებშიაც, რომელნიც ძალიან შორს არ არიან ცხელ ქვეყნებზე, მაგალითად: ისპანიაში, მცირე აზიაში, სირიაში და ხმელეთა შუა ზღვის ზოგიერთ კუნძულებზე. იმისთანა ადგილებში უყვარს ცხოვრება, სადაც წვიმა იცის ხანდახან, ან ცვარი (ნამი) ბლომად; ეგ მისთვის ძალიან საჭიროა, რომ ყოველთვის თავის დროზე დააკმაყოფილოს ერთი უმთავრესი მოთხოვნილება თავისი—წყურვილი. რაცა შეეხება საქმელს, სხვა ქვეყნარმაგვლებისა არ იყოს, იმასაც მთელი კვირაობით და თუნდა თვეობითაც შეუძლია გასძლოს უქმელად, უსმელათ კი დიდ ხანს ვერ გასძლებს.

ისავრო წრავლდება კვერცხებით. მის კვერცხების დებას აგვიწერენ ასე: ერთი ჩემი ისავროთაგანია, მოგვითხრობს ერთი მკვლევარი, ნელა ჩამოეშვა ძირს მიწაზე ხის შტოებიდან, რომელიც გალიაში ჰქონდა გაკეთებული, და დაიწყო მოუსვენარად აქეთ იქით სირბილი. ბოლოს გაჩერდა ერთ კუთხეში და წინა ფეხებით ქექა დაუწყა მიწას. მიწა მაგარი იყო. ორი დღე იმუშავა და მოთხარა ორმო, რომელსაც სიღრმე ჰქონდა სამი გოჯი და ნახევარი, ხოლო სიგანე ორ გოჯზე ცოტა მეტი. ძალიან ბეჯითად კი მუშაობდა. ბოლოს ჩაჯდა ორმოში, ჩასდო შიგ ოცდაათი კვერცხი და მას უკან კვერცხებს ბლომად უკანა ფეხებით მიწა წააყარა, ასე რომ მიწა დაგროვებული იყო ორმოს თავზე. ამასაც აღარ დასჯერდა: მოიტანა ხმელი ფოთლები ხისა და ფიჩხები და დაათარა ზევიდან. ისავროს კვერცხები მომრგვალოა, როგორც საზოგადოთ ყოველი კვერცხი, ფერად თეთრია და კანი აქვს რბილი.

ქვემოთაა
გადაწერილი
საქართველოს
საბჭოთაო
საბჭოთაო
საბჭოთაო

ადამიანს როდი ერჩის ისაგრო და არც ადამიანი, რება მას, მაგრამ სხვა მტერი კი ბევრი ჰყავს: წვრილი მტაცებელი ოთხ ფეხი ცხოველები, მტაცებელი ფრინველები და დიდრონი გველები. იკვებება ისაგრო ბუზებით, კიებით, ობობებით და კუტი კალიებით.

ისპანიაში ისაგრო ოთახებში ჰყავი ბუზების საკერად, მოუწყობენ ხოლმე სადმე ოთახში დასაჯდომ ბინას და წინ თაფლს დაუკიდებენ კურკლით, თაფლზე, რასაკვირველია, ბუზი ბლომად შოდის. ისაგრო იკერს ბუზებსა და სკამს.

ალექსი ჭიჭინაძე.



შესანიშნავი ქვეყანა.

(მოგზაურობა ჩრდილოეთ ამერიკაში)

ბრინჯის მინდვრები.



VII

ჩვენ გაუარეთ ბამბით მოფენილ მინდვრებს და გავემართეთ გეორგიას შტატში. აქაიქ შევხვდით პურის ყანებს, ატმის ბაღებს, საჯამთროს ბაღებს. აქ აღარბეული ზანგები ცხოვრობენ, მათი რიცხვი უფრო მეტია, ვიდრე ვირჯინიაში, მათ ვხედავთ რკინის გზის სადგურებზე, მინდვრებში, ისინი დგანან თავიანთ

ქოხების კარ წინ და შეჩერებიან მიმავალ მატარებლებს.

რომ იცოდეთ აქ რამდენი ჯორებია! ზოგიერთ სამხრეთ შტატებში რიცხვით ცხენებზედ მეტნი არიან. აგრეთვე ბევრგან ნახავთ ძველებურ ურმებს თოკის ჯამბარებით, ხარებით და კამეჩებით შებმულს.

აქაური სოფლები ისეთი დიდები არ არის, როგორც „ახალ ინგლისში“, მაგრამ ისინი თანდათან იზრდებიან, რადგან მათ გარშემო კეთდება ახალ-ახალი შენობები, თითოეულ ბამბის ქარხნის გვერდით ახალი სოფელი გაჩნდება ხოლმე.

ატლანტის მგზავსი ლამაზი და მოძრავი ქალაქი სამხრეთში არც ერთი არ არი. ეს დიდი სამრეწველო ქალაქია. იგი გაშენებულია მალლობ ადგილზე და ზაფხულში მშვენიერი ჰაერი იცის. ზამთარიც აქ ცივი არ არის, რადგან სამ-



ხრეთი ადგილია. ამ ქალაქში ჩვენ გაეჩერდით მიდამოების სათვალთვლებლად.

მერე გავემგზავრეთ რკინის გზით, აღმოსავლეთისკენ, ატლანტიის ოკეანეს კიდევებზედ, რომ გვენახა კუნძულები სადაც ერთ გვარი ბამბა მოდის:



დაბლობ ადგილებში გავლის დროს, დავინახეთ ღიღ-ღა-ღი მიხდვრები ბრინჯით დათესილი. ბრინჯი უკვე მოსული იყო. ის ღია მწვანე ფერით და პირველ შეხედვით ჰგავს პურს ან ქერს. მაგრამ როდესაც დავაცქერდებით ახლოს—უნახავთ, რომ ბრინჯის ჩალა საკმაოდ ვანიჩრევა პურისაგან. პატარა მარცვლები, რომელნიც თავ თავებში ჩამალულნი არიან, სრულებით არ გვანან იმ პურის მარცვლებს, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკაში მოდის.

მინდორში ნიადაგი ძალიან ნოტიო და წყლიანია. ჩვენ გვითხრეს რომ საუკეთესო ბრინჯი მოდის იმ ადგილებში, სადაც ხშირად წყალი წასალეკად მოადგება ხოლმე. ამ მცენარისათვის საჭიროა ნოტიო ადგილი და აგრეთვე მზის სითბო, ამიტომაც ბრინჯის მოსაყვანათ საუკეთესო ადგილებათ ჩაი-



თვლება: სამხრეთ ატლანტიის კიდეები. და ცხელი, მაგრაა ნოტიო ადგილები მდინარე მისისიპის შესართავში. ასეც არის, რომ მთელი შეერთებული შტატების საუკეთესო ბრინჯი მოდის სამხრეთ კაროლინას და ლუიზიანის შტატებში. ჩვენ გავედით ბრინჯის პლანტაციებზე. ბრინჯის მოყვანა ადვილი არ არის, მის მოსაყვანათ მინდორი სწორე უნდა იყოს. და გარშემო შემოარაგული, რომ როდესაც წყალს მიუშვებენ აქეთ იქით არ დაიფანტოს და მინდორზე დაგუბებული დარჩეს— პატარა ტბათ გადიქცეს. მცენარეს თესვენ თითქმის ტალახში. მერე კიდევ მიუშვებენ წყალს. ცოტა ხანს შემდეგ წყალზედ ჩნდებიან მოტივტივე მწვანე ყლორტები, მაშინ წყალს გადააგდებენ მინდვრიდან, სანამ ღეროებზედ კლერტოები არ გამოჩნდება, ბოლოს მცენარეს გამოთოხნიან, გამოასუფთავენ და წყალს ისევ ისე მიუშვებენ; წყალი ფესვებთან რჩება იმდენ ხანს, სანამ მცენარეს ჩალა არ გაუყვითლდება. ეს ნიშნავს, რომ ბრინჯი მოსულია და დროა მისი მოჭრისა. ბრინჯსაც ისე სჭრიან, როგორც პურსა და ქერს: ჩალას აცლიან, ჰკრავენ ხელეულებათ, მინდორში სდგამენ ძნებათ, მერე ლეწავენ მარცვლების დასაშორებლათ.

საბაზროთ, გასაყიდათ, ბრინჯის მომზადებას ლეწვით იწყობენ: საქმე იმაშია, რომ ყოველი მარცვალი ბრინჯისა ნაქუჭში ზის, რომელიც ლეწვის დროს ადვილათ არ სცილდება, ისე მაგრათ არის მიკრული, თითქოს მიწებებულიაო. ამიტომ ბრინჯს გაატარებენ საგანგებოთ ამისათვის გაკეთებულ მანქანაში. იქიდან გამოღებული მარცვალი ჯერ მაინც მზათ არ არის, ბოლოს გაჰყავთ სხვა მანქანაში, სადაც ყოველი მარცვალი იწმინდება და თითქოს გალაქულიაო ისე ელამს.


ზოგ ბრინჯს სთესავენ მალლობ ადგილებში და არც წყალს მიუშვებენ. ამას მთის ბრინჯს ეძახიან, ის იმ გვარად მოჰყავთ როგორც პური და ქერი.


მთელ დედამიწაზედ ისეთი დიდი მინდვრები ბრინჯისა არსად არის, როგორც აზიაში. იქ ბრინჯი უმეტესად წყლით დაგუბებულ ადგილებში მოჰყავთ.

ბევრგან აზიაში ხალხის უმთავრესი საქმელი ბრინჯის
გამოანგარიშებულისა, რომ მთელი დედამიწის ხალხის მეოთხე-
ლი იკვებება უმეტესათ ბრინჯით.

იციტ როგორ შემოიღეს ამერიკაში პირველად ბრინჯი?
ადრე არ იყო მისი ხსენება და მხოლოდ ორასი წლის შემდეგ,
მას აქეთ რაც კოლუმბმა აღმოაჩინა ამერიკა—შემოვიდა ხმა-
რებაში. დავხედოთ აფრიკის რუკას და იქ მოვნახოთ კუნძუ-
ლი მადაგასკარი: ამ კუნძულიდან 1694 წელს გამოვიდა ერ-
თი გემი; ბევრი აქეთ-იქით ცურვის შემდეგ გემი მიაღდა ატ-
ლანტიის ოკეანეს. ამ დროს ატყდა ლეღვა და ჩარლსტონ-
ის ნავთსადგურში ეს გემი გაჩერდა. გემის უფროსს თან ჰქონ-
და ერთი ტომარა ნაქიანი ბრინჯი. გემი რომ ნავთსადგური-
დამ გამოდიოდა ეს ბრინჯი გემის უფროსმა ერთ იქაურ
მცხოვრებს აჩუქა. ამ ამერიკელმა დათესა ბრინჯი თავის
ბოსტანში, რომელიც დაბლობ ადგილში მდებარეობდა. მო-
სავალი მშენიერი მოვიდა და ამ კაცმა თავის ნაცნობებს მის-
ცა სათესლოთ, გაიარა ცოტა ხანმა და ამ შტატში ყველამ
შემოიღო ბრინჯის მოყვანა.

(შემდეგი იქნება)





სხვა და სხვა ამბები.

ყარანდაში*)



მორიოდ წლის წინეთ შესრულდა ორას ორმოცდაათი წელიწადი, რაც დაიწყეს ყარანდაშით წერა. წინეთ სანამ შემოვიდოდა ხმარებაში ეს თითქო უბრალო, მაგრამ დიდ მნიშვნელოვანი გამოგონება რომაელები ხმარობდნ ტყვიის ნაჭერს, რომელიც უფრო ფხაქნიდა, ვიდრე სწერდა.

მეთოთხმეტე საუკუნეში შემოიღეს ვერცხლის და ტყვიის ყარანდაშები. ამას უფრო ხმარობდნ მხატვრები. მერე ტყვიას და კალას ერთად აღნობდნ.

ასეთი ყარანდაშები, რომელსაც აქლა ვხმარობთ, პირველად შემოიღეს 1688 წელს. ინგლისში აღმოაჩინეს მადანი გრაფიტი, რომელიც საწერათ ძალიან კარგი გამოდგა. დასაწყისში ყარანდაშის კაკეთება ძალიან ძნელ საქმედ მიაჩნდათ. ჯერ ამ გრაფიტს სჭრიდნ დიდ ნამტვრევებათ, მერე უფრო პატარ პატარა ნაჭრებათ და ბოლოს სულ წვრილ პალოებათ, რომელსაც ხეში სდებდნ. რადგან ინგლისიდან გრაფიტის გამოტანა ძვირათ ჯდებოდა და ყარანდაშის მოთხოვნილება კი დიდი იყო, დაიწყეს შიგ სხვა და სხვა ნივთების არევა, მაგალითათ გოგირდის და სხვა.

გერმანიაში ყარანდაშის ქარხანა პირველათ გახსნა ფაბერმა ქალაქ ნიურნბერგის ახლოს. ეს იყო ჩვიდმეტი საუკუნის დასაწყისში როდესაც გერმანიაშიაც და ავსტრიაშიაც აღმოაჩინეს გრაფიტი. თანდათან ისეთი დიდი მოთხოვნილება იყო ყარანდაშისა, რომ 1795 წელს ორმა მექარხნემ გარდმუტმა და კონტემ დაიწყეს თიხის არევა გრაფიტში.

ამ თიხის გარევით ყარანდაშები გამოდიოდა მაგარიც და მორბილოც, ზოგი გამოდიოდა შავი ფერისა და ზოგი მკრთალი. მას აქეთ თანდათან გავრცელდა ყარანდაშების ქარხნები და მისი წარმოებაც ვაჩაღდა.

ქალაქი ნიურნბერგი მაინც ითვლება თავი და თავი ქალაქად. იმათ 30 ქარხანაში კეთდება წელიწადში 300 მილიონი ყარანდაში.

*) ძველათ ეძახდნ ქანქარას.

აღებშიცემობის მხრივ განსაკუთრებით კოლხიდის ქალაქები იყო ცნობილი. აქ მეტათ საინტერესო აღგილს წარმოადგენდა ცხუში ანუ დოხოკურია, სადაც 70-მდე სხვა და სხვა ხალხი იყრიდა თავს სავაქრო მიზნით. კოლხიდაში სხვა ქალაქებიც იყო: ბიჭვინთა ანუ პიტეუსი, ფაზისი ანუ ფოთი, „კიტაისი“ ანუ ქუთაისა და სხვანი. აღებ მიცემობის გარდა, ფოთი ცნობილი იყო, როგორც მიუღღამელი სიმაგრე, სამხედრო პორტი. მას სამი მხრით წყალი იფარავდა (შავი ზღვა, რიონი და პალიასტომის ტბა), თანაც გარს მალალი კედელი ჰქონდა შემოვლებული, რომელსაც ირგვლივ სამი წყება ღრმა თხრილი მისდევდა. 135 წლის მახლობლათ ქრ. შემდეგ ამ ციხის კედლებზე საომარი მანქანები დადგეს და მცველად 400 რჩეული ჯარის-კაცი ჩააყენეს.

ამ პერიოდის დამლევს ქალაქები ალბანიაშიაც მოიპოვებოდა, როგორც მაგალითად: თელავი, ხაბაღა, თიანეთი, თილზისი და სხვანი, რომელნიც ძლიერ მოგვაგონებენ ჩვენი დროის ქალაქების და დაბების (თელავი, ქაბაღი, თიანეთი, თბილისი) სახელებს; მაგრამ აღნიშნულ პერიოდში ეს ქალაქები გაცილებით უფრო აღმოსავლეთისაკენ მდებარეობდნენ (თითქმის კასპის ზღვის მახლობლათ), ვინემ დღევანდელი თელავი, თბილისი და თიანეთი მდებარეობს. სჩანს, როცა ქართველ-ალბანელებს შემდეგს პერიოდში თავისი წინანდელი მიწა-წყალი დაუტოვებიათ და ეხლანდელ თბილისის გუბერნიაში გადმოსახლებულან, ნაცნობი გეოგრაფიული სახელები თან წამოუღლიათ და ახალ მიწა-წყალზე გაშენებულ დაბა-ქალაქებისათვის გადმოუცრათ.

2. გზები და მიხვლა-მოსვლა. საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებს შორის მისვლა-მოსვლა და საქონლის გადაზიდვა წყლითა და ხმელეთის გზით სწარმოებდა. უმთავრეს გზას მტკვარი და რიონი წარმოადგენდა. ამავე გზით უცხო ქვეყნის საქონელიც შემოქონდათ ჩვენს ქვეყანაში და ჩვენი ქვეყნიდან გაჰქონდათ უცხოეთში. უუძველესი დროიდან ინდოეთის საქონელი ჯერ ოქსუს-იქსარტით (სირ-დარია და ამუ-დარია) გადმოქონდათ კასპის ზღვამდე, შემდეგ

კასპის ზღვით და მტკვრით სურამამდე, მერე საურმე გზით ძირულა-ყვირილის შესართავამდე, სადაც საქონლის საწყობი ციხე **შორაპანი** (სარაპანი) იდგა*), ბოლოს მდ. ყვირილითა და რიონით შავ ზღვამდე, საიდანაც ევროპაში გაჰქონდათ**). აი სწორეთ ამ დიდ საერთაშორისო გზაზე იდგა სამი საყურადღებო პუნქტი: არმაზ-ქალაქი, ზემო-დასახლებული შორაპანი და ფაზისი ანუ ფოთი. მეორე საერთაშორისო გზა იმავე არმაზზე გადიოდა, მხოლოდ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. იგი შემოდინოდა სომხთიდან (მდინ. დებედის ხეობით და მტკვრით) და მიემართებოდა არაგვის ხეობით დარიალის ხეობისაკენ. აქ გზა ჭიშკრითა და ციხით იყო გამაგრებული. რომელიც ისტორიკოსთა მოწმობით, ეს ჭიშკარი რკინის სალტა-შემორტყმულის ჯზარ-მაზარი ხის ძეგლებისაგან იყო შეკრული და ციხესთან ერთად, რომელსაც **კუმანია** რქმევია, ჩვენს ქვეყანას ჩრდილოეთის ველური ხალხებისაგან იფარავდა.

მისვლა-მოსვლა და გადაზიდვა, როგორც სიანს, ურმით, ცხენითა და ნავებით სწარმოებდა.

3. კერძო ცხოვრება, ზნეობა და სწავლა-განათლება.
 როგორც წინა თავში შევნიშნეთ, საქართველოს ძველი ისტორია სოციალ-ეკონომიურათ „გვარზე“ უმცირეს ჯგუფს არ იცნობდა, მაგრამ, ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, ვითომც იმ დროს ქართველებში არავითარი „ოჯახი“ არ ყოფილიყო, როგორც ზნეობრივ-ბიოლოგიური კავშირი, მაშინაც არსებობდა, მაგრამ სოციალ-უფლებრივის მხრით იგი მხოლოდ გვარის განუყრელ ნაწილს შეადგენდა. ოჯახებს შეეძლოთ, რასაკვირველია, ცალკე ბინებშიაც ეცხოვრათ, მაგრამ იურიდიულ-ეკონომიურათ იგინი მაინც გვართან იყვენ მტკიცეთ შეკავშირებულნი და გვარის გარეშე სოციალური შრომა და უფლებრივი არსებობა არ შეეძლოთ.

უფრო ხშირათ რამდენიმე ოჯახი ერთ ქერ-ქვეშ ცხოვ-

*) ბერძნის მწერალთა მოწმობით, შორაპანი იწოდნათ ვრცელი სიმაგრე იყო, რომ მთელი ქალაქის მცხოვრებთ დაიტევდა.

**) რიონის პირად მისვლა-მოსვლა ხმელეთითაც სწარმოებდა, რისთვისაც ამ მდინარეზე 120-მდე ხიდი იყო გამართული.

რობდა. საცხოვრებელ ბინებს იბერიაში უმთავრესათ აგებდნენ და ხისას აშენებდნენ, როგორც უცხოელები მოწმობენ, ლა-
მაზათ და ხუროთ-მოძღვრების ნოთხოგნილებათა თანხმით.
კოლხიდაში კი ხის სახლი უფრო ხშირი იყო, ალაგ-ალაგ
(ქაობიან დაბლობებში) მაღალ ბოძებზე შედგმულს წნელის
ფაცხებსაც შეხვდებოდით ხის სახლებს ორ-ორ სართულიანი
იკოდენ: ქვედა სართულში ჯალაბობა ცხოვრობდა, ზედაში
ხილს და სანოვაგეს ინახავდენ.—მარტივი იყო ქართველების
ტანსაცმელიც: იბერიელ-ალბანელები თავზე პატარა ნაბდის
ქუდებს იხურავდენ, ტანზე გრძელ სახელოებიანი კაბა (ჩოხა)
ეცვათ და ფეხზე თბილ ფეხსაცმელს ატარებდენ. კოლხიდაში
უფრო სელის-ქსოვილის ტანსაცმელი იყო გავრცელებული.
სელის მსხვილი ძაფისაგან კოლხიდელები საომარს „თოკ-
ჯავშანსაც“ კი იკეთებდენ, რომელიც ჯაქვის პერანგის მა-
გიერობას ეწეოდა.

რადგან „გვაროვნულ“ წყობილებაში გვარის უფრო-
სად ჩვეულებრივ უუხუცესი მამა-კაცი დგებოდა, ამიტომ
ძველ საქართველოში მოხუცებულებს დიდი პატივით ეპყრო-
ბოდენ. საზოგადოთ უფროსთაში პატივსაცემა მაშინდელ
ქართველებში ფრიად გავრცელებული ჩვეულება იყო.—გვარის
წევრები სისხლის ნათესაობით იყვენ ერთმანეთთან შე-
კავშირებულნი და ამიტომ თვითეული გვარი-შვილის შეუ-
რაცხყოფა მთელის გვარის შეურაცხოფა იყო, აგრეთვე მთელი
გვარის სახელი ან შეურაცხოფა თვითეული მისი წევრის სა-
ხელად ან შეურაცხოფად ითვლებოდა. გვარის ყოველი წევ-
რი მოვალე იყო თავისი მოგვარის სიცოცხლე და ღირსება და-
ეცვა, შეურაცხყოფელისაგან შური ეძიებია, „სისხლი აელო“,
აქედან წარმოადგა „სახსლეს აღება“ ანუ საგვარეულო შუ-
რის ძიება, რომელიც დღემდეც კი დარჩენილია ჩვენს მთიე-
ლებში.—მართალია, გვარის წევრები ერთმანეთის ნათესავებად
ითვლებოდენ, მაგრამ ეს არ უშლიდა, გვარის რომელსამე
წევრს იმავე გვარის წევრი შეერთო. ქორწინება მხოლოდ
მშობელ-შვილებსა და და-ძმათ შორის ყოფილა აკრძალული;
ბიძაშვილებს შორის ქორწინება კი იშვიათს მოვლენას არ შე-



ადგენდა მაგალითად რადამისტს ცოლად ჰყავდა დაშვილი ზენობია, მიტრიდატის ქალი. ასეთი იყო ქართველების ზნეობა.

რაც შეეხება ქართველ ტომთა გონებრივს მდგომარეობას, ჩვენ უკვე ვიცით, რომ წერა-კითხვა მათ შორის უკვე მეფობის დაარსებამდე იყო ცნობილი. ფარნაოზ I-ელმა მხოლოდ შეუწყო ხელი ქართული „მწიგნობრობის“ განვითარებასა და გავრცელებას. მაშინდელი ქართული ანბანი იყო „ხუცური“ (ასო-მთავრული), და, როგორც სახელი გვიჩვენებს, უმთავრესათ სამღვდელთაში ყოფილა გავრცელებული. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მწიგნობრობის შინაარსიც უმთავრესათ სარწმუნოებრივი ხასიათისა იქნებოდა. შეცდომა იქნება ვიფიქროთ, ვითომც გონებრივით ყველა ქართველი ტომი ერთს დონეზე მდგარიყოს. პირიქით, ალბანელები პირველ საუკუნეშიაც კი ქრ. შემდეგ მეტათ ჩამორჩენილს ტომებს წარმოადგენდენ: მაგალითად, ასზე ზევით თვლაც კი არ იცოდენ. საექვთა ამგვარს ხალხში მწიგნობრობა ყოფილიყოს გავრცელებული. კოლხიდაში უფრო ბერძნული წერა-კითხვა იყო მიღებული, რამაც მესამე პერიოდშიაც კარგა დიდხანს გასტანა ამგვართ ნაციონალური „მწიგნობრობა“ ქართველთა შორის მეორე პერიოდში მარტო იბერიის ტომებს მოეპოვებოდათ. სამწუხაროთ, იმ მწიგნობრობის არც ერთს ნაშთს ჩვენს დრომდე არ მოუწევია.

4. სარწმუნოება. როგორც ვიცით, ქართველობის უძველესი სარწმუნოება მნათობთა თაყვანისცემა იყო, რომელსაც, სპარსთა ბატონობის დროს, არმაზისა და ცეცხლის თაყვანისცემა ამოუდგა გვერდში. მნათობთა თაყვანისცემა არც ამ პერიოდში შემწყვდარა. ბერძნის ისტორიკოსთა მოწმობით ქართველები კვლავ განაგრძობდენ ც.სა, მზისა, მთვარისა და დედამიწის თაყვანისცემას. მთვარეს, როგორც მეჯოგე ხალხი, ალბანელი ტომები უფრო მეტ პატივსაცემდენ. მთვარის სახელობაზე მათ იბერიის საზღვარზე ტაძარიც კი ჰქონდათ აგებული, სადაც რევ მართალის დრომდე ადამიანის მსხვერპლად წირვა სწარმოებდა.

არმაზის ქალაქში ირანულ ღმერთს არმაზსაც საკუთარი ტაძარი ჰქონდა აშენებული, რომელიც უსახურავო ზენობას



წარმოადგენდა, სადაც შუაგულში **საცეცხლე** იდგა და **ცეცხლი** ენთო. ყოველ დღე შედიოდნენ „მოგვები“ ამ ტაძარში და მთელი საათობით ცეცხლის წინ საიღუმლო საგალობლებს გალობდნენ; თანაც სცდილობდნენ, ცეცხლს მათი სუნთქვა არ მიჰკარებოდა, რათა მისი სიწმინდე არ შეეღაპრა; ამიტომ პირისახეზე, ნიკაპამდე, გალობის დროს, მუდამ პირბადე ჰქონდათ ჩამოფარებული. ცეცხლს მსხვერპლსაც სწირავდნენ. აირჩევდნენ რომელსამე წმინდა ადგილს, უმეტესათ მალლობებს, სადაც ადამიანის ფეხი იშვიათათ მოხვდებოდა. მიიყვანდნენ სამსხვერპლო ცხოველს (ზვარაკს), ანთებული ცეცხლის შორი-ახლოს დაჰკლავდნენ, გაატყავებდნენ და გამოშვიგავდნენ. მოგვი აიღებდა ზვარაკის კუჭის ქონს, ზედ ზეთს დაასხამდა და ცეცხლს უკიდებდა; დანარჩენ ხორცს კი ნაჭრებით დასჭირდა და იქ დამსწრეებს ურიგებდა. ასეთი იყო მსხვერპლის წირვა.

ერთი საინტერესო ტაძარი მესხების მხარეშიაც იყო აშენებული. კოლხიდისა და სომხეთის საზღვრებზე. ამ ტაძარს **ქაღვივ** ჰყავდა და ერთ დროს სიმდიდრით იყო განთქმული, მაგრამ შემდეგში ეს სიმდიდრე თანდათან ხელიდან გამოეცალათ. ფოთის (ფაზისის) მახლობლათ, ბერძნის მოახალშენებს **ომის ღმერთის** სახელობაზედაც ჰქონდათ ტაძარი აგებული, რაც საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მიმდინარე პერიოდში კოლხიდელი ქართველები ბერძნულ-რომაულ კულტურას უნდა გასცნობოდნენ.

ძველ ქართველებს სწამდათ **ხაქაო ცხოვრება**; სწამდათ რომ ადამიანს სიკვდილის შემდეგაც იგეთივე მოთხოვნილება აქვს, როგორც სააქაო ცხოვრებაში ჰქონდა. ამიტომ მიცვალებულს როცა მარხავდნენ, თან ჩაატანდნენ სამკაულებს, იარაღს, ჭურჭელს, ფულებსა და სხვას.

განვლილ პერიოდში ეს ჩვეულება განსაკუთრებით მტკიცეთ ალბანიაში იყო დაცული, იბერიისა და კოლხიდაში კი, როგორც სჩანს, ამ ძველ ჩვეულებასთან ერთათ სპარსელების გავლენით მიცვალებულთა დაუმარხაობაც შემოუღიათ: კოლხიდაში მიცვალებულებს ხარის ტყავში ახვევდნენ და მალალ ხეებზე ჰკიდებდნენ, სანამ არ გაიხრწნებოდა.

ასეთი იყო ჩვენი წინაპრების წარმართული სარწმუნოება მათი ისტორიის მეორე პერიოდში. როგორც ვიცით, იმავე პერიოდის მეორე ნახევარში, ზოციქულების დროიდან, ჩვენი ქვეყანა **ქრისტიანობასაც** თანდათან გაეცნო. ამ ახალმა მო-



ძღვრებამ საკმაოდ მოიპოვა მიმდევარნი ქართველთა შორის, თუმცა ოფიციალურათ ვერაფერს ჰხედავდა ახალი სარწმუნოება აღეარებია. ყველა კი გრძნობდა, რომ ძველმა სარწმუნოებამ თავისი დრო მოსჭამა და ახალი მოძღვრებისათვის უნდა დაეთმო ადგილი, მაგრამ ეს მხოლოდ მესამე პერიოდში მოხდა. მეორე პერიოდის დამლევს კი, როცა საქართველო რომის იმპერიის სავასსალოდ გამოაცხადეს (297 წელს), ამას აზრადაც კი ვერაფერს წარმოიდგენდა, რადგან სწორეთ იმ დროს რომის ტახტს ქრისტიანობის მღევნელი დიოკლეტიანე განაგებდა. მაგრამ, როცა რომის ტახტზე ქრისტიანობის მფარველი იმპერატორები ავიდნენ და ახალი მოძღვრება სახელმწიფო სარწმუნოებად გამოაცხადეს, რომზე დამოკიდებულ სომხეთსა და იბერიაშიაც იგივე სარწმუნოება ნებადართულ და სავალდებულო მოძღვრებად იქცა. ამგვარათ, მეორე პერიოდის დასასრულს შემზადებულმა პოლიტიკურმა ვითარებამ საქართველოში ნიადაგი მოუშხადა ახალი სარწმუნოების გამარჯვებას მესამე პერიოდში, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა რომისა და სპარსეთის ურთიერთობა, და ჩვენი ქვეყანა, სომხეთთან ერთათ, მათის პოლიტიკურისა და სარწმუნოებრივი განხეთქილების სარბიელად გახადა. ასე დამზადდა ჩვენი ისტორიის შემდეგი პერიოდი ანუ **საშუალო ისტორია**.

კითხვები გასამომარაგებლად. ჩამოთვალეთ მეურნეობის უმთავრესი დარგები ძველი საქართველოს სხვა და სხვა ნაწილში.—რას ეძახოდნენ „დაბას“? რას წარმოადგენდა ქალაქი? დაასახელოთ (და ქარტაზედაც უჩვენეთ) მაშინდელი ქალაქები კოლხიდასა და იბერიაში. რა ვიციით ალბანის ქალაქების შესახებ და როგორი დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ ცნობებიდან?

დაასახელოთ საქართველოს უმთავრესი საერთაშორისო გზები. რით სწარმოებდა მიმოსვლა და ტვირთის გადაზიდვა?

როგორი ურთიერთობა იყო „ოჯახსა“ და „გვარს“ შორის? ასწერეთ ძველი ქართველების საცხოვრებელი ბინები და ტანსაცმელი.

რაზედ იყო დამყარებული უფროსთაღმეი ღრმა პატივისცემა? რაში ნდგომარებოდა „სისხლის აღება“? როგორ ესმოდათ ნათესაობა ძველი დროის ქართველებს?

როგორი იყო ქართველ ტომთა გონებრივი მდგომარეობა აღნიშნულ პერიოდში?

რა და რა ელემენტებისაგან შესდგებოდა ქართველების წარმართობა განვლილს პერიოდში? რა აზრისა იყვნენ ძველი ქართველები საიქიო ცხოვრებაზე.

რა ადგილი დაიჭირა ქრისტიანობამ ამ სარწმუნოებათა შორის და როგორს სარწმუნოებას მოუშხადა ნიადაგი შემდეგის პირობისათვის?

ს ა რ რ ე ვ ი.

შ ე ს ა ვ ა ლ ი :

- I. წინასწარი ცნობები: 1. ქართული ენა. 2. ქართველები. 3. საქართველო. 4. საქართველოს ისტორია. 5. საქართველოს ისტორიის ნაწილები.—კითხვები გასამეორებლად გვ. 3—6.
- II. საქართველოს ისტორიის წყაროები: 1. ნივთიერი ნაშთები. 2. ზეპირ-სიტყვაობა. 3. მწერლობა: ქართული და არა-ქართული.—კითხვები გასამეორებლად. გვ. 7—14.

უ უ მ გ ე ლ ე ს ი ი ს ტ ო რ ი ა :

- I. პერიოდის განსაზღვრა და ქართველების მიწა-წყალი ამ პერიოდში.—კითხვები გასამეორებლად გვ. 15.
- II. ქართველები ძალდუსა და შუამდინარეში: 1. ქართველების პირვანდელი სამშობლო. 2. ქართველები შუამდინარეში; მიტანების სახელმწიფო. 3. მაშინდელი კულტურა და სარწმუნოება.—კითხვები გასამეორებლად. გვ. 15—18.
- III. დასავლეთის ქართველები მმ-14—8 საუკუნეში ძრ. წინ: 1. ხეობი. 2. მუსკები ანუ მესხები. 3. კასკები ანუ კოლხები. 4. ტაბლანი ანუ ტუბალნი.—კითხვები გასამეორებლად გვ. 18—24.
- IV. აღმოსავლეთის ქართველები მმ-11—7 საუკუნეში ძრ. წინ: 1. ნაირი. 2. ღრართუ.—კითხვები გასამეორებლად. გვ. 24—28.
- V. ქართველი ტომები მმ-6—4 საუკუნეში ძრ. წინ: 1. ქართველ ტომთა შინაძრობა ამ ხანაში. 2. პოლიტიკური ვითარება. 3. კულტურა.—კითხვები გასამეორებლად. გვ. 28—33.

ძველი ისტორია:

I. პერიოდის განსაზღვრა, ძარბველ ტომთა შინაღრგზა და მეზოგლეზი ამ პერიოდში: 1. პერიოდის განსაზღვრა. 2. მაშინდელი საქართველოს გეოგრაფია: ზღეები, მთები და მდინარეები. 3. ჰავა და ბუნების სიმდიდრე. 4. საქართველოს ნაწილები და მცხოვრებლები. 5. მეზობელი ქვეყნები და სახელმწიფოები.—კითხვები გასამეორებლად გვ. 34—40.

I. საქართველოს ცხოვრება და თავზადასაზავალი მ.4—1 საუკუნეში ძრ. წინ: 1. მცხეთის სამეფოს დაარსება. 2. აზო, ფარნავაზ და მათი უახლოესი მეგვეიდრეები: საურმაგ I, მირვან I, ფარნაჯი. მ და არსოკ I-ელი. 3. მეფეები: არტაგი, ოროდი და ოლთაკი, და პომპეი საქართველოში. 4. მეფეები: ფარნავაზ II, მირვან II, არსოკ II.—კითხვები გასამეორებლად გვ. 41—48.

III. საქართველოს ცხოვრება და თავზადასაზავალი 1—3 საუკუნეში ძრ. შემდეგ: 1. მეფეები: ადერკ, მიპრდატ I და ფარსმან I-ელი. 2. მეფეები: მიპრდატ II, აშასპ I და ფარსმან II. 3. საქართველო და სპარსეთი 140 წლიდან მესამე საუკუნის დასასრულამდე.—კითხვები გასამეორებლად გვ. 49—56.

IV. სოციალ-პოლიტიკური წყობილება. 1. სამეფო, ტომი, თემი და გვარი. 2. გვართა სხვადასხვაობა: ა) სამეფო სახლი, ბ) სასუფლიერო ანუ სამღვდელო გვარები, გ) მეფის მონები: ანუ „მდაბიო ხალხი“, და დ) თავისუფალი ერი. 3. სახელმწიფო ხარჯი და ლაშქრობის წესი. 4. მეზობელ სახელმწიფოებთან განწყობილება: ზავი, კავშირი და ვასალობა.—კითხვები გასამეორებლად გვ. 57—63.

V. კულტურული ვითარება: 1. მეურნეობა, დაბები და ქალაქები. 2. გზები და მიმოსვლა. 3. კერძო ცხოვრება, ზნეობა და სწავლა განაძღება. 4. სარწმუნოება.—კითხვები გასამეორებლად გვ. 64—

ქარტები:

- I. უძველესი საქართველო და მისი მეზობელი ქვეყნები.
- II. ძველი საქართველო და მეზობელი ქვეყნები 330 წლიდან ქრ. წინ 300 წლამდე ქრ. შემდეგ.



ქართული
საბჭოთაო

სახალხო გაზეთი

1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც მდგომარე
წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება
შინაარსით.

ყოველ დღეურ გამოცემას გარდა 1910 წელს გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება.

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით როგორც ქალაქში ისე
ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან.
10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი უფლებან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვი-
რისა) 7 კაპეიკი

ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით მიიღება მხოლოდ ტფილისში:

„სახალხო გაზეთი“ კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა № 12; წერა-კითხვის სა-
ზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან—სასახლის ქუჩა, თავაღ-
აზნ. ქარვასლა; ნაძალადეგში მეპურე მელიტონ ლოღობერიძესთან—მა-
გისტრალნი ქუჩაზე, გრიბოლ ჩარკვიანის სახლში; რკინის გზის მთავარ
სახელოსნოში ვანო ჭავჭავაძესთან—ტოკარნი ცეხი.

ხელის მოწერათა საპურადლეზოდ

კანტორა უმორჩილესად სთხოვს ახალ ხელის მომწერთ, თუ
ვინიცობაა ვერ მოახერხებენ ფულის კანტორაში შეტანას, დამ-
ტარებლებს გადასცენ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდეს-
საც ეს უკანასკნელნი კვიტანციას წარუდგენენ.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 8-დან 3 სა-
თამდე. საღამოთი 5-დან 8 სათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Сахалхо газети“ Семену
Пашалишвили

ჯეჯილი

საქმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

რუსლ პირველი წელიწადი.

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლ.
გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა
პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი „ჯეჯილი“

თბილისში ეღირება 4 მ. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5.
ნახევარი წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიან მიმართონ:
ქუთაისში წიგნის მაღაზიას „ნიმარეთს“ და ბათუმში მ.
კალანდაძეს.

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго
журнала „Джеджили“

რედ.—გამომცემელი ან. თუმანაშვილი წერეთლისა.

ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА
на ежедневную общественно-политическую и литературную газету

НОВАЯ РѢЧЬ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА.

Для городскихъ подписчиковъ на годъ 7 р., на 11 мѣс.—6 р.
50 к., на 10 мѣс. 6 р., на 9 мѣс.—5 р. 50 к., на 8 мѣс.—5 р.,
на 7 мѣс.—4—50 к., на 6 мѣс.—4 р., на 5 мѣс.—3 р. 50 к.,
на 4 мѣс.—2 р. 80 к., на 3 мѣс.—2 р., на 2 мѣс.—1 р. 50 к.,
на 1 мѣс. 75 коп.

Для иногородныхъ подписчиковъ на годъ—8., на 11 мѣс.—7 р.
75 к., на 10 мѣс.—7 р. 50 к., на 8 мѣс.—6 р. 75 к., на 8 м.
6 р., на 7 мѣс.—5 р. 25 к., на 6 мѣс.—4 р. 50 к., на 5 мѣс.
3 р. 75 к., на 4 мѣс.—3 р., на 3 мѣс. 2 р., на 2 мѣс.—1 р.
50 к., на 1 мѣс.—75 к.

Подписываться можно на всѣ сроки, но не иначе, какъ
съ 1-го числа каждаго мѣсяца, не меньше, какъ на мѣсяць, и
не далѣе конца года.

Годовая подписка считается только съ 1-го января

Объявленія для напечатанія въ газетѣ „Новая Рѣчь“ при-
нимаются за плату со строки петита:

Впереди текста 10 коп. Позади текста 5 коп. Посреди текста
50 коп. Стороннее сообщеніе 15 коп. Зрѣлища и унеселенія 20 к.

АДРЕСЪ: Тифлисъ, Дворянская, д. грузин. дворян. ред. газ.

„НОВАЯ РѢЧЬ“

ТЕЛЕФОНЪ № 20.